



დავით აღმაშენებლის საქართველოს

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ ე უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—იწყება.

ვიკ: ნაზაძე—ჩვენი მოკავშირენი.

დ. შ. ფრანგული წიგნები საქართველოზე.

მუხტაუა ჩაბაგვი—თურქესტანში. წერ. მეორე.

საქართველოს საკითხი.

მოხსენება საქართველოზე ლონდონში.

უცხოეთის მიმოხილვა.

ზაზი—საბჭოთა საქართველო.

ს. ფიშინაძე—საფრ. ქართვ. საზ. კრებისათვის
რას სწერენ ბოლშევიკებზე.

კასაბეტი—პოლონეთის დამოუკ. 10 წლის თავი.

მეკობარი—ახმედ ცალიკატი. და სხვ.

ი წ ყ ე ბ ა .

როცა კითხულობთ «იხვესტიას» და «პრავდას», წინაგონება გიტანთ, ასე გგონიათ იწყება ისეთი რამ, რომელსაც არ გინდათ თავისი სახელი უწოდოთ და მაინც ენახედ გადგებათ: ქაკერია, გლეხური მოძრაობა, ბრმა, სტიქიური, შეუბრალებელი. სოფლად, კავშირის მთელ სივრცეზე—სჩივიან ეს გახეთქები—ერთობ გახშირდა მუშკორების და ხელისუფლების სხვა აგენტების ხოცვა-ჟლეტა. ცეცხლსაც უკიდებენ დაწესებულებებს, ანადგურებენო. არ მალვენ იმასაც, რომ ბევრ ადგილას თვით კომუნისტებიც, ნაცვლათ შებრძოლებსია. იძულებული არიან ხელიც კი შეუწყონ, შეუერთდენ «ჩვენს კლასობრივ მტრებს».

მაგრამ რაც უმოაფრესია—ეს «კულაკები გათამამდნენო», ხაზს უსვამს საბჭოთა პრესა. ვინც იცის რუსის გლეხობის უსაზღვრო მოთმინება. ასე ვთქვათ, მისი ტოლსტოური ქედის მოხრა ბოროტების წინაშე, ეს დიდი ნაბიჯია წინ. მუშკორების ხოცვა არ ახალია, თუმცა, უეჭველათ, იგი ესლა უფრო სისტემატიურია... გლეხები გათამამდნენ—აი რა ავადებს კრემლს საგარეებელში... თუ აქამდის შიშსა გვრიდა მათ, დღეს თვითონ ეშინია მათი—აი რა არის მომენტის დამახასიათებელი, უმძიმესი ფაქტი.

სინამდვილეში მეტია, ვინმე ტყდებიან, თქმა არ უნდა. უცხოელი კორესპონდენტები გვაწვდიან უფრო ალარმისტულ ცნობებს. იმდენათ ალარმისტულს, რომ მოსკოვში მყოფ დიპლომატიურ მისიებში თითქო ბარგსაც კი ჰკრავენ, თუ ელჩებისთვის არა ჯერ-ჯერობით, მათი ცოლ-შვილისთვის მაინც. ამის მიზეზი სანოვანის სიმძირვე არის, ხალხი ჩამდგარია კულებში დღე და ღამ, ლენინგრადში ვამლებს არიგებდენ პურის ნაცვლათ, ზოგ პროვინციებში ნამდვილი შიმშილია, ხორბლის ბეღელი უკრანაც სანახევროთ დამშეულია. მრეწველობის კრიზი-

სი კიდევ სხვაა, უმუშევართა ჯარი საშიშრათ იზრდება. იმედი გარედან დანებებისა სახსებით ვაჭკრა. პირიქით, ძველი რუსეთის მევაღეთა საერთაშორისო მოტიანი ფრონტი ახალ უსიამოვნებას უმზადებს მოსკოვს. საბჭოებო პუფერის გამარჯვება კი ამერიკაში საიუბილეო საჩუქარია მისთვის, დაბადების მე-12 წელს...

მაგრამ გადაფასებასაც უნდა ვერიდოთ. სუმრობა როდია, დედა-მიწის მეექვსედი ერთობ განიერია, რომ შეიძლებოდეს ხალხის ერთდროული გამოსვლა. ის უმწეო თან, მოუზადებელი, დაქსაქსული, მოქალაქობრივი გრძობა და მიხვედრა თითქმის დახმული აქვს; პოლიტიკური და სხვა ორგანიზაციები არ არსებობს, გარდა კომუნისტურისა... როგორ გნებავთ, რომ ასეთი ახმაზი, უსახო, ცის კიდი-კიდემდე გაბნეული ამორფიული მასა ერთბაშით წამოიქრას ზეზე, ერთის დაკვრით გადაჭრას კვანძი? მერე გეპეუ? ის ხომ მძინვარებს კიდევ!

მით უფრო საშინელია და თმის ამბურძგენელი ასეთი ხალხის ამოძრავება. ის დამსგავსება სახლპრონიალფარს, წარღვნას რომ უძლოდა წინ, და ექადის წალეკვით ყველაფერს თავის გაზუნდ. ჩვენ ეს ვიცით ისტორიიდან, ჯანყი და შფოთი ჯერ კიდევ დიდხანს იქნება რუსის ხალხის ნამდვილი სტიქია. ევროპაში დაფეთებულიც კი არიან ასეთი პერსპექტივებით: რა გეშველებათ—გვისსამძიმრებენ ჩვენ—არარუსებს! მისამართი გეშველებათ—ვეუასუსებთ ჩვენ თავაზიანათ, ვერ მოგცემთ გარანტიას რუსეთზე, იქ ანარქია ალბათ გარდაუვალაია, მაგრამ რაც შეეხება საქართველოს და სხვაგან, სადაც არარუსი ერები ბინადრობენ, იმედი, ამ მწარე ფიალას თავიდან აიციდნენთქო.

არ შეგვიძლია ვსთქვათ, მეორეს მხრით, რომ ქალაქი ჩაუდგება სათავეში მოძრაობას, ან კიდევ მე-

შათა კლასი დაიბრუნებს თებერვლის როლს. ერთი ნაწილი მუშებისა «პროლეტარიატის დიქტატურას» უჭერს მხარს, მის მოხელედაა ქცეული; მეორე ნაწილი მხოლოდ შიმშილ-სიცივეს ებრძვის, ამაზე დარდობს; მესამე ნაწილი, უმუშევარი და ნახევრათ გაბოსიაკებული, ადვილათ ასაფეთქებელია, მართალია, მაგრამ უფრო საშიშოა, ვინემ სოფლის ბრბო.

მაშასადამე, სიმძიმის ცენტრი სოფელზედაა გადასული, ამაზე არ დაობენ არც მარცხნივ, არც მარჯვნივ, და თვით კრემლიც, როგორც ზევით დავინახეთ. ხოლო გლენობა ელის ინსტიტუტურათ თავის გმირს. წინამძღოლს, რომ თავი გამოაბას ამდენ უთაო ხალხს. ვინ იქნება ეს? სტენკა რაზინი? პუგაჩევი? თუ თვით ბონაპარტი?! ბოლშევიკები თითქო პირველ ორისკენ ხრიან სასწორს. ამიტომ უდგმენ მათ ძეგლებს. ემიგრაცია კი, რუსის ინტელიგენცია, მესამეზე ოცნებობს. გვეზინია, ბოლშევიკები არ გამოდგენ უფრო მართალი!

ერთ ხანს განზირებული იყო ტერმიდორზე ლაპარაკი. დაწყებული ტროცკით და გათავებული ემიგრანტებით, ყველანი ევროპიული ფორმულებით აზროვნებენ, თუმცა ბოლშევიზმის ფესვები უფრო აზიაში უნდა ვეძიოთ. ტერმიდორის იღბლიანი მემკვიდრე საფრანგეთში დიდი ნაპოლეონი იყო, ძლევამოსილი, გაღმერთებული ჯარის მეთრ, დამსხვრევი მონობის ბორკალებისა ევროპაში და ევგვიპტის სფინქსის ამპარტავანი შემკითხავი—გავემართო თუ არა აზიისაკენაო.

ჰყავს თუ არა ასეთი გმირი რუსეთს? ვინ უნდა იკისროს მისი როლი? აქეთ ამისი შნო და უნარი? საეჭვოა. დღევანდელ «პირველ კონსულებში» არავინ მოიპოვება ასეთი. პოლიტიურს წევრები კარგი დემაგოგები არიან, მაგრამ ჰკვიანი—არც ერთი. იყო დრო, როცა ინგლისში სტალინს «გლმერთა იმპერატორს» ეძახოდენ, ელოდენ მის «ვადმერთებას», მაგრამ მოსტყუდენ, როგორც ბევრ სხვა რამეში. ყაკერიას სწორეთ სტალინი ჰყავს ნიშანში ამოღებული და ამიტომ ხოცვენ ასე შეუბრალებლათ მის დამქაშებს.

ამით იმის თქმა არ გვიანდა, თავის თავად ცხადია, რომ სატერმიდორა კითხვები არა სდვას რუსეთის წინაშე. პირიქით. კომუნისტებმა ძირამდე ამოსწურეს თავიანთი შესაძლებლობანი, როგორც ერთ დროს იაკობინელებმა; მხადდება შეთქმულობა მარჯვნიდან, სადაც მზათ არიან ხელი მიუშვან ეკონომიურ თავისუფალ ქიდილს, პოლიტიკური სადავის შენარჩუნებით. მაგრამ აქაც უნუგეგმოთაა საქმე: რიკოვი, კალინინი, ან კიდევ ბუნარინი ისეთი გმირები არიან, რომ გეპუუს სახელის გაგონებაზე ენა მუცელში უვარდებათ.

არა, გმირი ისევ სხვაგან უნდა მოინახოს: გლენობაში ან ჯარში. თუ ყაკერია იზარდა, გეპუუ და მისი ჩონები ვერას უშველიან. საჭიროა იქნება წითელი ჯარის ჩარევა. და მაშინ კი გადაცმული გლენები უნდა დაუპირდაპირდენ თავიანთვე დედ-მამებს, დაძმებს, გული გაუგმირონ მათ ტყვიით. ჩვენ იმასაც არ ვივიწყებთ. რომ წითელ ჯარს დისციპლინას უქებენ ამ უკანასკნელათ, კრემლელნი ომის წინანდელ

ვილპელომის გუნებაზე არიან-ჰგონიათ შეასვევენ ჯარს თავისიანებს. ისიც არ გვავიწყდება, რომ «რუსეთი დიდია და პატრონი არა ჰყავს», შეუძლიათ ერთი პროვინციის ჯარი მეორე პროვინციაში გადაადგონ. ქალაქის გარნიზონები სოფელში წარგზავნონ და წინაუქმ... მაგრამ ვერც ეს ხერხი გასტრის ხანგრძლივ. თავი და თავი სამოქალაქო ომში იარალი როდია, არამედ მორალი. და ეს კი დღესაც აკლია წითელ ჯარს. ის შიშით მორჩილებს უფროსებს, ხოლო მისი სიძულვილი მათდამი, განსაკუთრებით რეჟიმისადმი, გაცილებით უფრო ძლიერია, ვინემ შიში.

ორთავე მეტროლო ბანაკს—ხალხი და ჯარი—ხომ თავისი მეთაურები უნდა გამოუჩნდენ, თუ გინდ შემთხვევითი, მაგრამ პოპულიარული. მიმზიდველი, რას იქმენ ისინი, ვინც გამიარჯვებს? ისინი მოისურვებენ გამარჯვების თავისთვის გამოყენებას, ე. ი. სახელმწიფო მართვა-გამგეობის ხელში ჩადებას. შედეგი: სამხედრო დიქტატურა გლენოფილური მიდრეკილებით და სახელმწიფო სოციალიზმის გაუქმებით.

ამ თავითვე ძალიან ძნელი წარმოსადგენია, როგორ და რანაირათ მოხდება გადატრიალება, იქნება ის ერთი დაკვირის, თუ ხანგრძლივი პროცესის ნაყოფი. ამას კი მტრათ დიდი და პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს. პირველ შემთხვევაში, შეიძლება ყველაფერი თავის ადგილზედ დარჩეს: ჯარი, ადმინისტრაცია, ფინანსები, მრეწველობა.

მაგრამ უფრო მოსალოდნელია მეორე შემთხვევა. ერთმა პასუხისმგებელმა პირმა სთქვა ამას წინათ: ბოლშევიკებს უყვართ ხელისუფლება, ამიტომ, სანამ მას ვისმეს დაანებებდენ, ათ, ოც მილიონ კაცს კიდევ შეიწირავენო. მართლაც, ბოლშევიკები არ არიან «ლამაზი მოლავებნი», ლასალის არ იყო. ისინი ნებით არასფერს დასთმობენ, იბრძობებენ გაშმაგებით; წააგებენ ერთ ადგილას, განავრძობენ მეორე ადგილას; მარტო მოსკოვშიც, ლენინგრადშიც ისინი არ დაერიდებიან უკანასკნელი ბრძოლის მიცემას. ვლებულობთ ხანგრძლივ პროცესს ანუ სამოქალაქო ომს, ქაოს, ანარქიას.

ერთის გამოკლებით, ყოველ შემთხვევაში. არარუს ერებში მათ არ ექნებათ ასეთი ხელსაყრელი პირობები ბრძოლისათვის. მათი შეიარაღებული ძალეები, მოწყვეტილი ცენტრს და მოკლებული ყოველ თანავრძობას ადგილობრივ, იძულებული იქნებიან იარალი დაჰყარონ უბრძოლველათ.

გამოდის ამ რიგათ, რომ ჩვენ ვიცით დაახლოვებით მაინც, რა შედეგი მოჰყვება ჯანყსა და შფოთს რუსეთში არარუს ერებისთვის—მათი დამოუკიდებლობის აღდგენა. და სამავიეროთ, ჩვენ არ ვიცით, რით გათავდება თვით რუსეთში ანარქია, რამდენ ხანს გასტანს უკანასკნელი, ან რომელი რეჟიმი შესცვლის ბოლშევიკურ ტირანიას—მონარქიული თუ რესპუბლიკანური, ბონაპარტისტული თუ დემოკრატიული.

ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ... იწყება. და გულის ფანქვლით მოველით ხარის ხმას, როცა თავდადებულნი მამულიშვილნი კვლავ ააფრიალებენ თავისუფლების დროშას საბოლოო გამარჯვებისთვის.



ჩვენი მოკავშირენი.

გასაკვირველათ არ ჩათვლება ის მოვლენა, რომ ჩემი ნაცნობი მანდილოსანი საქართველოს ბედზე და უბედურებაზე ცხარეთ, მეტათ ცხარეთაც ჰკამათობს. რა მოგველის, რა იქნება.—აი საკითხი, რომელიც ალბათ თვითუფლებს აინტერესებს. ჩემი ნაცნობი მანდილოსანი—ჰკვიანი და განათლებული ადამიანია და ყველა ამ საკითხზე ისეთი დიდი გრძობითა და ტანჯვის ფიქრითა ფიქრობს, რომ ვერ გაარჩევს. თუ სად თავდება მისი საკუთარი ბედი და სად იწყება საქართველოს ბედი: ეს ორი გაერთიანებულია, ასეა გადათარგული და განასკვილი! ადამიანისათვის უმთავრესია იგრძნოს თავის ბედისა და სამშობლოს ბედის ერთიგეობა. «მისი ბედი აჩნდეს წყლულად», «მის ბედით და უბედობით დაედაგოს მტკიცე გული»!.. საქართველო უცხო ძალის უღელშია და აქ იშლება სურვილი, ბრძოლის უნარი, რომლის მიზანია თავისუფლება. საქართველო დამარცხდა რუსეთთან ბრძოლაში,—ამის მიზეზი არა ერთი და ორია,—გადაიარა ისტორიის ფურცელზე იღბლიანმა რიცხვმა, ჩვენთვის უიღბლო შვიდმა (წელმა) და ხსნა არა ხსანს. აჯანყდა ხომ კიდევ ქართველი ერი! ჩვენ მოვისმინეთ ბევრი თანაგრძნობა, სიმპატიები, რეზოლიუციები, მტრის შერისხვა,—გავიმარჯვეთ ზნეობრივად, მაგრამ უსინდისო და გარეწარმა ჯალათებმა რომ ამოედნა ხალხს გული გაუგმირეს?! ერს გაუნადგურეს მისი საუკეთესო ძალა, გავყვლიტეს! ვინ გვიშველის, ვინ დაგვეხმარება. ვინ არის ჩვენი მოკავშირე?—მწუხარებით ჰკითხულობს დარბაისელი ქართველი მანდილოსანი და ბევრი კიდევ სხვაც.

თქვენც დამეთანხმებით, რომ ერის ბრძოლა პიროვნების ბრძოლას არ შეიძლება დაედაროს. პიროვნება გარდამავალია: «დღეს არა, ხვალე მოვჰკვდები. სოფელი ასე მქმნობია!» ერი გარდაუვალია, თუ რასაკვირველია, ერი ერობს და რაიმე გეოლოგიური ან სხვა ფიზიკური უბედურება თავს არ დაატყდა. შედარებას არ დავიწყებ, თორემ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლებოდა იმის დასასაბუთებლათ, რომ ერს მთელი საუკუნოების განმავლობაში თავის დასაცავათ ბრძოლა უწარმოებია. საქართველოს რომ კიდევ მრავალი წელი თავის განსათავისუფლებლათ დასჭირდეს, ასეთი ხანა ერის ცხოვრებაში მცირეა, მაშინ როდესაც შესაძლებელია ჩემმა ნაცნობმა მანდილოსანმა და მე ამდენი ვერ გავძლოთ, ჩვენ ხომ «წითლისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება»... ეს იცის კარგათ დარბაისელმა ქართველმა მანდილოსანმა, მაგრამ ადვილია ამ საერთოდებულებაზე მითითება; საქმე ისაა, რომ მას სურს თვით მოესწროს თავისი ერის თავისუფლებასა და ბედნიერებას, თვითონაც იქნეს თავისუფალი და ბედნიერი! ამიტომ ასე სასოწარკვეთით აღმოხეტეს ხოლმე მის გულით კითხვა: როდის, ბატონო, როდის? სად არის ჩვენი მოკავშირე?

პატარა ერი ყოველთვის ეძებდა მოკავშირეს მისი დამპყრობელი ძლიერი ქვეყნის წინააღმდეგ, ქალ-

ბატონიც ეძებს, მაგრამ იქ, სადაც საქმობარი არ არის. მე არ ვეძებ, რადგან ამ მოკავშირეებს ვხედავ, ვხედავ კარგათ, თუ სათვალე არ მატყუებს.

საქართველოს პირველი და საუკეთესო მოკავშირე არის თვით რუსეთი და სტალინი. თქვენ გავიკვირდით?—სტალინი და მისი პარტიის დიკტატორა რუსეთის მაჯლაჯუნასავით თავზე აწევს. მართალია, თქვენ ეს იცით, ბოლშევიზმი რუსული მოვლენაა, მაგრამ ეს მოვლენა არის უსათუოდ ავადმყოფური რუსეთი ავადაა, და როგორც ყველა ავადმყოფს სიცხე უთამაშებს, ხან გამოკეთება ეტყობა, ხან კიდევ გაუარესება; მართალია, იწვევენ ექიმებს, მაგრამ ექიმები ვერ მიდიან რუსეთში, საზღვარზე უფსკრულია! ეკონომიური ენითა რომ ვსთქვათ, რუსეთი პერმანენტულ ეკონომიურ კრიზისს განიცდის; რთული მეურნეობის დაგვემა და რეზოლიუციების მიხედვით განსაკუთრებულ კომუნისტურ კალაპოტში მისი ჩაგდება შეუძლებელი აღმოჩნდა; სამეურნეო ბაზრის მოუწყვრებლობა და ფასების კატასტროფა, ქალაქისა და სოფლის კონფლიქტი ხელისუფლებას ძირს უთხრის და კაპიტალის სიმცირე მას ახრჩობს. უცხო კაპიტალი და კონცესიები რუსეთისათვის მალამოა. მაგრამ სწორედ ეს მალამოც არის ძნელი საშოვნელი. კიდევ რომ იშოვონ და რომელიმე ახალმა კონცესიონარმა თითიც დაიწვას, ან შეიძლება გაითბოს.—ეს მხოლოდ მალამოა, მაშინ როდესაც რუსეთს სჭირდება რადიკალური ოპერაცია. მალამო ვერ შეანელებს ქვანახშირის შიმშილს, რკინის შიმშილს, ფოლადის, ქალღლის, ხისა, პურისა და საყოველთაო შიმშილს, რომელიც რუსეთის სამეურნეო ბაზარზე მძვინვარებს. სტალინი ჯიუტია და მისი პარტია შუბლმაგარი და სქელტყავა, მაგრამ მის წინაშე მაინც მუდმივათა სდგას საოროთაგანერთო: ან განთავისუფლოს კომუნისტურ არტახებისაგან რუსეთის მეურნეობა და ამის შედეგათ თავის თავს გამოეთხოვოს,—ან იბრძოლოს მარჯვნივ და მარცხნივ, განაგრძოს თავისი გზა და ვაჟკაცურათ მიახეტქოს კარები, დაიღუპოს. სტალინს ეს შეუძლია, თუ დააცალეს. თქვენ ამტკიცებთ, რუსეთის ხალხი ამტანია: გლეხს არ სჭირდება არც პერანგი, არც ცელი, არც საპონი, არც სხვა რამ; რაც თვითონ სახელდახელოთ სჭირდება, აკეთებს შინ ან ამზადებენ მის სოფელში, ან მეზობელ სოფელში. მართალია, ასეთი მრეწველობა გაძლიერებულია, მაგრამ სოფლის მუედელსა და ფეიქარსა არ შეუძლია სოფლის მეურნეობა დააკმაყოფილოს. ასეც რომ მოხდეს, მაშინ რაღა ეშველება ინდუსტრიას, ქალაქს? ქალაქისა და სოფლის დავა ეკონომიურ თანამშრომლობაზე არის ის არსი—საკითხი, რომელსაც ბოლშევიკები ვერ აგვარებენ. რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა ჩიხში არის მომწყვდული და გამოსავალი ერთია: უკანვე გამობრუნება.—ყოველ შემთხვევაში ნგრევა. შესაძლებელია: რღვევის პროცესი გაგრძელდეს, ბოლშევიკებმა სული კბილით დაიჭირონ, ავანტიურაც დაიწყონ, მაგრამ საბოლოოთ სიკვდილია: ან ზარბაზ-

ნით, ან სიშტით ან შიმშილით—(ომი, რევოლუცია, ანარქია). ამიტომა ვსთქვი, რუსეთი და სტალინი საქართველოსთვის განთავისუფლების ბრძოლაში დიდი მოკავშირენი არიან: რუსეთი დანიგრევა, მას სტალინი და მისი პარტია მოუღებს ბოლოს.

ჩვენ სხვა მოკავშირეც გვყავს რუსეთში. ეს მოკავშირე საპატიოა:—ეროვნული მოძრაობა. მსოფლიო ომის წინ, რუსეთში არსებულ ეროვნულ მოძრაობაზე თუ ლაპარაკობდენ, ჩვეულებრივ მხედველობაში ჰყავდათ: ფინები და პოლონელები. დღეს ფინეთი და პოლონეთი თავისუფალი არიან, კიდევ მეტი: ლატვია, ლიტვა, ესტონეთი! ამას გარდა სხვა სურათია: ეროვნული მოძრაობა დანარჩენ ფრანტებზე არის გაჩაღებული და ზოგან ცხარე ბრძოლაც კი სწარმოებს. უკრაინა, თურქესტანი, კავკასიის ერები,—ცალკე და ერთად აწარმოებენ ეროვნულ ბრძოლას. მხედველობაში არა მაქვს ემიგრანტული ეროვნული ორგანიზაციები და მისი ბრძოლა. ეროვნული ბრძოლა ხდება თვით უკრაინაში, თვით თურქესტანში და კავკასიაში. საბჭოთა რუსეთი თავისი ეროვნული პოლიტიკით თავის ტოტსა ხეჩხავს. ის მოვლენა, რომ უკრაინული ენა გამოქალაქდა, უკრაინა სახელმწიფოებრივ ერთეულათ გადაიქცა, ხალხმა დაიწყო თავისი თავის ერთ გრძობა და ეროვნულ ძალების განვითარებას დაეწეურა,—საკმარისია, რომ ეროვნული ბრძოლა თავისი ლოლიკით განვითარდეს. ამ განვითარებას ხელს უშლის საბჭოთა რუსეთი, მაგრამ რომ მწიფდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეა,—ეს მეტისმეტათ მნიშვნელოვანია და იგი დიდ როლს ითამაშებს. მართალია, ეროვნული მოძრაობა ერთი და ორი დღის საქმე არაა, მაგრამ თვით ეროვნული ბრძოლის არსებობა თავისთავად საქართველოსთვის განუყრელი მოკავშირეა, რადგან ყოველ ეროვნული ბრძოლის მიზანია:—თავისუფლება.

საბჭოთა რუსეთის საზღვრებს თუ გავცილდებით,—აქაც ჩვენ მოკავშირეებს დანახავთ.

ბოლშევიკურ რუსეთსა და კაპიტალისტურ ევროპის შორის შემათანხმებელი გზები არ არის; ფიქრობდენ ერთ დროს, მისი პოვნა ძნელი არ იქნებოდა, მაგრამ გამოცდილებამ წინააღმდეგი დაამტკიცა; ამის გამო რუსეთი გარიყულია, განაპირებული და თუმცა ბოლშევიკებმა ამ უკანასკნელათ თვით სიკვდილს შეთანხმება,—მაგრამ იმედი მაინც ნაკლებია.

ჩვენი მოკავშირეა აგრეთვე ევროპის დემოკრატია. არასოდეს დემოკრატიული განვითარება ისე ძლიერი და ფართო არა ყოფილა, როგორც დღეს, და ერთა თვითგამორკვევის დებულება ისე საყოველთაოდ აღიარებული, როგორც ესლა; საქართველოს სცნობს ეს დემოკრატია. თქვენ უჯავრდებით, რით გვეხმარებაო. ცხადია, იგი ვერც ჯარს მოგცემთ და ვერც ზარბაზნებს,—ეს რეგენობაა, ამაზე ფიქრი, მაგრამ ამ დემოკრატიას აქვს თავისი ზნეობრივი სიტ-

ყვა და ასეთი სიტყვა ჩვენთვის ძვირფასია. კარგათ გახსოვთ: რა ძვირფასი იყო იგი აჯანყების მწარედღებებში. ერის პატივის აღიარება და უფლების განვითარება, საერთაშორისო უფლების განმტკიცება ჩვენ სასარგებლოთ მიმდინარეობს.

ჩვენთან არის აგრეთვე სოციალისტური მოძრაობა; ვიცით, ბევრია ისეთი, რომელიც სცდილობს საბჭოთა რუსეთთან მეგობრობას, ჰპადაგებენ მის დაცვას, მაგრამ ბევრმა დანახა ამ ბოლო დროს ნამდვილი რუსეთი, რომელიც მსოფლიოს ომის ცეცხლით ემუქრება; მათ მკაცრათ ხმა აღიმადღეს მის წინააღმდეგ, მაგრამ უფრო მაგარი და მტკიცე სიტყვა კიდევ არის მოსალოდნელი.

რასაკვირველია, ვერ დავიწყებ მკითხაობას და სხვა შესაძლებელ მოკავშირეს ვერ შეგვხვები, მაგრამ ერთ მთავარ და უუდიდეს მოკავშირეზე უნდა შევჩერდე. ძველათ ეს ჩვენი მოკავშირე სუსტი იყო, რევოლუციის დროს და შემდეგ, იგი გაიზარდა და დაჰასაკდა. ეს ჩვენი საყვარელი მოკავშირეა: ქართველი ხალხის ეროვნული შეგნება. ჩვენი თავის მოკავშირე ჩვენ თვითონა ვართ; ქართველი ერის საუკეთესო მოკავშირე მისი თავია და მისი ბრძოლის უნარი. 26 მაისმა ქართველ ხალხში ისტორიული გარდატეხა მოახდინა და 25 თებერვალმა ეროვნული შეგნება უმაღლეს წერტილამდე გააძლიერა. რუსეთმა საქართველოს ისეთი ტლანქი, უხეში პოლიტიკური და სოციალური მონობის უღელი დაადგა, რომ ბუნებრივია ბრძოლა მის დასამსხვრევათ და ამ ბრძოლაში დაეჯუცა ქართული ეროვნული შეგნება. მეტეხი გარდაიქცა ეროვნულ-პარლამენტათ და იქ, სადაც საპყრობილე ეროვნულ სიმაგრეთ ითვლებოდა,—იქ ბრძოლა ეროვნულათ მიღწეულია. ეს არის ბრძოლის ერთი ფორნტი. აბა გადახედეთ ესლა დანარჩენ ფორნტებს! ყველგან ყოველ ციდა მიწაზე, ყველა დაწესებულებაში, შიგნით თუ გარეთ, სკოლაში თუ შინ სწარმოებს ბრძოლა. დუქნებზე თუ როგორი ასოთი იქნეს წარწერა, ამაზეც იბრძვიან. ეს წვრილმანია? არ არის, რადგან იგი დიდი ეროვნული ბრძოლის გამოხატულებაა, მისი ნაშხეფია, და გვიჩვენებს, თუ როგორ მძლავრათ მიმდინარეობს იგი. ეროვნული ბრძოლა არც იარაღის ჩხარუნია, არც ცარიელი მუქარა და არც დამდურება-საბოტაჟი. ეროვნული ცხოვრება რთულია და ცხოვრებას თავისი მრავალი წვრილმანი აქვს. საქმე ისაა: არც ერთი წვრილმანიც არ უნდა დაუთმო მტერს, თორემ არსებითად ხომ ეროვნული შეგნება და ბრძოლა არის ის პიტალო კლდე, რომელზეც მტრის ყოველი შემოტევა იმსხვრევა. თავისუფლების მკვეთრი სული საქართველოში გაბატონებულია და მწამს, მას ხორცი შეესხმება: ქართველი ერის ბრძოლა თავისუფლების ზეიმით დასრულდება...

ვიკ. ნოზამე.

ფრანგული წიგნები საქართველოზე.

სწორედ რომ ვთქვათ ის ორიოდ წიგნი, რომლის შესახებ გვსურს პირველ რიგში ვესაუბროთ მკითხველს ესება არა მარტო საქართველოს, არამედ საბჭოთა რუსეთს და საქართველოს. ეს არის ალნუ-სხვა იმ შთაბეჭდილებების და ცნობების, რომელიც მათ ავტორთ მიუღიათ ამ ქვეყნებში მოგზაურობის დროს. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვინტერესებს უწინარეს ყოვლისა წიგნების ის ნაწილი, რომელიც საქართველოს შეეხება.

«დამ. საქართველო»-ს არა ერთხელ მოუთავსებია ამონაწერები საბჭოთა საქართველოში ნაშრომები უცხოელების ნაწერებიდან. მაგრამ ეს იყო-მომეტეულათ ჩვენი ქვეყნის და ჩვენი საქმის სასარგებლო მოწმობა. ჩვენ გვგონია, რომ მკითხველისათვის საინტერესო იქნება გაეცნოს აგრეთვე იმ უცხოელების ნაწერებს, რომლებიც განზრახ-ჩვენი მტრების შთაგონებით, თუ უნებლიეთ-ნამდვილი მდგომარეობის უცოდინარობით ევროპიელთ აწვდიან ყალბ ცნობებს დღევანდელ საქართველოზე. ამ მიზნით ჩვენ ავარჩიეთ ისეთი წიგნები, რომელიც დამახასიათებლათ მიგვაჩნია.

1.

Maurice Wullens. Paris. Moscou. Tiflis.—Paris 1927.

(მორის ვიულანს. «პარიზი. მოსკოვი. ტფილისი». — პარიზი 1927 წ.).

ბ-ნ ვიულანსი ტომით ფრანგია, პროფესიით მასწავლებელი, პოლიტიკური შეხედულებით ყოფილი ანარქისტი, «შეუთრებელი ანტიმილიტარისტი», ესლახან-თუ მას დაუფიქრებთ—უპარტიო სინდიკალისტი (პროფ. კავშირების მოღვაწე). გაცივრით ის უფრო დაახლოვებით მისივე წიგნის საშუალებით.

შესავალში ავტორი მოგვითხრობს, რომ 1925 წლის ზაფხულისათვის ის მიიპატაყეს ბოლშევიკებმა საბჭოთა ქვეყნებში სამოგზაუროთ იქაურ «განათლების მშრომელთა პროფეს. კავშირის» სახელით და ხარჯით, როგორც ერთ ერთი წევრი ევრეთ წოდ. «ევროპის მასწავლებელთა დელეგაციისა». გზის ფული და ხარჯი ჩვენი უნდა ყოფილიყო რუსეთის საზღვრამდე, რაც 2,000 ფრანკამდე დაჯდა; საზღვარს იქით კი ყოველივე ხარჯებს საბჭოთა მასწავლებლები კისრულობდნენ (გვ. 11). თუ საზღვრამდე მისვლა ხელმოშობილნი ფრანგს 2,000 ფრანკი დაუჯდა, 1 თვე საბჭოთა კავშირში მგზავრობა—ლენინგრადიდან ტფილისში ვოლგით და უკან დაბრუნება, უხვი სმა-ჭამა და სხვა ხარჯები თვითნებ დელეგატზე, თუ რუსეთის ფასებს გავითვალისწინებთ, ათეული ათასები უნდა დამკდარიყო, ხოლო მთელს დელეგაციას (50-მდე კაცი და ქალი) ასეული ათასებით უნდა ვივარაუდოთ. ბ-ნ ვიულანსს არამც თუ არ ეთაკილება, რომ გაძვალტყავებულ და მშვიერ-მწყურვალე საბჭოთა მასწავლებლებს მისი და მისი კოლეგების სასიამოვნო გასეირნების ამოდენა ხარჯები დაადევს კისერზე. არამედ ეს «დახმარება» მას სრული-

ად ბუნებრივად და, ასე გასინჯეთ, «აუცილებლათაც» კი მიაჩნია. აი რას სწერს ის: საბჭოთა მასწავლებლების მხრით «დახმარება აუცილებელია ჩვენთვის, რომელნიც ძლივს ძლივობით ვახერხებთ ცხოვრებას იმ მშვიერი ჯამაგირით, რასაც საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა გვაძლევს» (გვ. 12). არ იფიქროთ, რომ ამის დამწერმა არ იცოდეს რას აძლევს თავის მასწავლებლებს საბჭოთა რესპუბლიკა! ის თვით გვამცნობს თავისი წიგნის 147 გვერდზე, რომ ტფილისის ალბათ იმ სანიმუშო ტენიკუმის მასწავლებლებს, რომელიც მას დათავალიერებდეს, თვითურათ 50-60 მანეთი ეძლეოდა (1925 წ.), ხოლო მეორე ადგილას მოგვითხრობს—სოფლის მასწავლებლების ჯამაგირი 30-35 მანეთს არ სცილდებოდა. «საფრანგეთის მესამე რესპუბლიკამ» რომ თავის მასწავლებლების ჯამაგირი ამ მართლაც «მშვიერ» დონეზე ჩამოიყვანოს და საფრანგეთის ბაზარზე სანოვაგეზე და სხვა საქონელზე რუსეთის ფასები შეუქმნას, ბ-ნი ვიულანსი და მისი ამხანაგები ქუჩაში გავიდოდნენ და ბარაკადების აგებასაც არ დაეირიდებოდნენ თავისი დღევანდელი მდგომარეობის დასაცავათ. წარმოსადგენია, რომ რუსეთში წასვლამდე ჩვენმა მოგზაურმა გულწრფელად დაიჯერა, რომ ის საბჭოთა მასწავლებლების დაპატიქებული იყო; მაგრამ, როცა ის საბჭოთა ქვეყნებიდან დაბრუნებული, ე. ი. იქაურ მდგომარეობას გაცნობილი, საქმის უცოდინარ მკითხველს არწმუნებს—საბჭოთა მასწავლებლებმა მიგიპატიყეს თავის ხარჯზე და ეს «დახმარება» აუცილებელი არის, ცხადია ის შეგნებულ ურიგობას სჩადის. მაგრამ გავყვეთ ჩვენს მოგზაურს.

ბ-ნ ვიულანსის «დელეგაციას» უმოგზაურია ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, მათი თარჯიმნების თანხლებით, მათ მიერ ნაკარნახევი მარშრუტით; ლენინგრადის სასტუმროში «დელეგატებს» მოვლინებია «კომისია», რომელმაც «გავაცნო მის მიერ შემუშავებული მარშრუტი; ის მიღებულ იქნა, დაიბეჭდა და დაუთრგდა თვითნებ დელეგატს» (გვ. 37). «დელეგაციას» მთელი მოგზაურობის განმავლობაში დაუთვავალიერებია მხოლოდ ის, რაც უჩვენეს, შეუტყვიო მხოლოდ ის, რაც უთხრეს მას მზრუნველმა მასპინძლებმა. ამნაირად, საბჭოთა ქვეყნების «მსწავლას» ჰქონია სრულიად ჩინოვნიკური, «კაზინი» ხასიათი და წიგნის კითხვის დროს თქვენ გრძნობთ, რომ ავტორი ერთგვარ ბეგარას იხდის, როცა ის ნაჩქარევად თავის უბის წიგნში სწერს იმ მრავალ ცნობებს და ციფრებს, რასაც მას ოფიციალური პირები უქარნახებენ. სამაგიეროთ ჩვენი მოგზაური მუდამ დიდის ხალისით ისწრაფვის სუფრისაკენ და ისე სწირად და ისეთის წრფელი სიამოვნებით ასწერს ხოლმე «სმა-ჭამას მეტად შესარგისს», რომ ევკვი არაა დიდი მოყვარული უნდა იყოს სხვისი პურმარლისი. აი მაგალითად: «საჩქაროთ ვბრუნდებით სასტუმროში. სუფრისაკენ! თქვენი მოწონებული სუფი, როგორც ჩვეულებრივ შიგ ჩახარშულ ხორცის ნაჭერით, ამ შემთხვევაში ქათმის ბარკლებით! ხორცეული, წვანილი, ტკბილი, ყველაფერი ეს შეპკურებული რამ-



დენიც გნებავთ ლუდით და კარგ კავკასიური ღვინით» (გვ. 46). ან კიდევ: ჩაი მოგვართვესო. «მაგრამ ჩაი აქ ნიშნავსო, გაგვიმართავს ავტორი, მრავალ თავ საქმელს: სხვადასხვაგვარი ცივი ხორცი, ლორი, რუსული სალათი, კობო, ყველაფერი ეს შეპკურებული პორტო, მალაგა, ლუდით, და ერთი ჭიქა ჩაი» (გვ. 38). საბრალო საბჭოთა მასწავლებელი! მას მშინერ კუჭზე არც კი დასინმრებია მრავალგვარათ შეზავებული და შეპკურებული ჩაი, რომელსაც მის ხარჯზე და მისი სახელით შესთავაზებდენ მის დაუპატიუებელ უცხო სტუმრებს!

ასე საფუძვლიანათ დანაყრებულს და შეზარხლებულ ფრანგს დაკარგული აქვს განსჯის და კრიტიკის უნარი, ყველაფერი რასაც კი უჩვენებენ რუსეთში ვარდისფერად ელანდება, ყველაფერი აღტაცებას ჰგვრის: საბჭოთა სკოლა, თეატრი, «ინტერნაციონალის» სიმღერა, კედლის გაზეთი და სხვა და სხვ. მხოლოდ ერთხელ აღძვრია მას ეჭვი, მხოლოდ ერთხელ წაუფიქრებია: ეს იყო ლენინგრადში, საცა მის წინ ჩამოუვლია ალღუმიდან დაბრუნებულს სხვა და სხვა იარაღის ჯარს სრულიად იმავე წყობით და წესით, რაც ვიულანს თავის «იმპერიალისტურ» ქვეყანაში უნახავს. აი აქ გაუღვიძია მასში ანტიმილიტარისტულ სინდისს: «მე რომელსაც ასე ძმაგს ჯარი», «მიჭირს გავარჩიო წითელი არმია სხვა ჯარისაგან...» «ძლიერ ავირიე: ერთი მეორის საწინააღმდეგე ფიქრები მიტრიალებს თავში და ჯერ კიდევ არ შემძილა გადაწყვეტილი აზრის გამოტანაო» (გვ. 56). მაგრამ ვიულანსი რის «დელეგატი» იქნებოდა, რომ თვით საბჭოთა მილიტარიზმისთვისაც არ მოეხადა ბოდიში! თურმე ამ ჯარის რიგებიდან გაისმა უეცრად სიმღერა—«ინტერნაციონალი»! სასაცილოა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ «ძველი ანტიმილიტარისტის» სინდისი დამშვიდებულიყო. აი მოუსმინეთ: «რაც უნდა იყოს ეს სხვა რამეა ვინემ ის ჯარი, რომელიც მხარზე თოფით «მადლონის») ღრიალეხსო... ბ-ნ ვიულანსის მიერ აღმოჩენილი ნიშნობლივ თვისებას «იმპერიალისტურ» და «არა-იმპერიალისტურ» ჯარების გასარჩევათ, ვერავინ დააფასებს ისეთი სისწორით, როგორც ქართველი მკითხველი, რომლის ქვეყანას სწორედ «ინტერნაციონალის» სიმღერით მოევლინა რუსის ტანკები და ტყვიის-მფრქვეველები...

ასეთ ღრმაზროვან მეთვალყურეს, რა თქმა უნდა, ვანსაკუთრებულ აღტაცებაში მოიყვანდა ბოლშევიკების საქმიანობა საქართველოში. ჩვენს ქვეყანაში «დელეგაციას» გაჰყვლია მოსკოვის მიერ დანიშნული მსვლელები და თარჯიმნები; დამახასიათებელია, რომ მათ შორის არც ერთი ქართველი არ ყოფილა: ვინმე ალპეტინი, შაპოანი და აბრამსონი. ალბათ მოსკოვს არ ჰქონდა იმედი, რომ ქართველი კომუნისტები უცხო სტუმრების გაბრძოლებას ისე მოხერხებულათ შესძლებდენ, როგორც თვალთმაქცობას ეს დაგვილილი «სპეცები». მართლაც მშვენიერ

რათ შეუსრულებიათ ამათ თავისი როლი: ისე კარგად «შეუმზადებიათ» გზაში «დელეგაცია», რომ ბ-ნი ვიულანსი ტფილისში ჩასვლის დღესვე ავანსთა განიხასის: «ეჭვი არაა აქედან თან წავიღებთ სრულიად ახალ წარმოდგენას საქართველოზე, რომელსაც დასავლეთის მოსყიდული მატყუარები წამებულ ქვეყანათ სახავენო» (გვ. 146). ეს ავანსი სახეებით გაანაღდა წინასწარ აღტაცებულმა ფრანგმა. ვეროპაში დაბრუნებული ვიულანსი ირწმუნება: თქვენ შეგიძლიათ «ყველა ქვეყნები დაიაროთ დასავლეთში და საქართველოს ბადალს ვერ ნახავთ,—იმ საქართველოსისას, რომლისთვის ასე შესტკივა გული ვანდურველდესო» (გვ. 224). მერე არ იკითხავთ რით გაუსწრია საბჭოთა საქართველოს დასავლეთის ქვეყნებისათვის? ერთი იმით, რომ მის ბიუჯეტში თურმე სახალხო განათლების ხარჯებს 55 პროც. აქვს მიკუთვნებული. ეს ცნობა მიწოდებია მისთვის განათლების კომისარს, ბ-ნ კანდელაკს. ჩვენი მოგზაური არც კი დაინტერესებულა იმით, თუ რა ხილია ეს საქართველოს ბიუჯეტი, ხოლო ბ-ნ კანდელაკს ყოველივე საბუთი ჰქონდა დაემალა მისთვის, რომ საქართველოს ბიუჯეტი სიტყვის მასალაა, რომ ბოლშევიკების ხელში ჩვენს ქვეყანას ნაკლები საბიუჯეტო უფლებები აქვს, ვინემ რომელიმე კოლონიას საფრანგეთისას, რომ სახელმწიფო მრეწველობის, ვაჭრობის, საგარეო საქმეების, ჯარის, პოლიცია—გვეყუს და სხვ. და სხვ. გამოება და ხარჯები, ისე როგორც შემოსავალის ყველა მთავარი დარგი, ართმეული აქვს საქართველოს და მოსკოვს აქვს მითვისებული და რომ მხოლოდ ამ უზურპაციის წყალობითაა, რომ საქართველოს უკაცრავად პასუხია ბიუჯეტში ასე თვალთმაქცურათ გაუბერავთ განათლების ხარჯების პროპორცია.

მეორე უპირატესობა საბჭოთა საქართველოსი ვეროპის წინაშე ვახლავთ ის; რომ ტფილისში ბოლშევიკებს შეუქმნიათ ქვეყანაზე უნახავთ და გაუგონარი დაწესებულება: რაბფაკი. «ჩვენ პირდაპირ აღტაცებული ვართ ამ დაწესებულებით, რომლის ბადალი არც ერთ «კულტურულ ქვეყანაში» არ მოიპოება» (გვ. 153). ნეტა მაინც თვით არ ასწერდეს იქვე ამ შეუდარებელ დაწესებულებას. თურმე ნუ იტყვი, ბოლშევიკები არჩვენ თავისიანებში პროპაგანდისტათ გამოსადეგ მუშებს და გლენებს და ასწავლიან მათ წერა-კითხვას, არითმეტიკის 4 წესს და ბუხარინის «ანბანს»! ჩვენს სინდიკალისტს რომ რაიმე წარმოდგენა ჰქონდეს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაზე, მას ეცოდინებოდა, რომ ბელგიის, ავსტრიის, გერმანიის, ინგლისის და სხვა მუშათა პარტიებს, აგრეთვე პროფკავშირების ცენტრალებს აქვთ მართლაც რომ საუცხოვო სკოლები მუშებისათვის, სწორად ნამდვილი უნივერსიტეტები, რომლის მსგავს ვერასოდეს შექმნის ვებერთულა სახელმწიფოს სათავეში მყოფი რუსეთის კომპარტია. ესეც არ იყოს, ფრანგ მასწავლებელმა ის ხომ მაინც უნდა იცოდეს, რომ პარტიის ყველა კუთხეში, სენის დეპარტამენტის თვითეულ კომუნაში არსებობს ყველა მუშისათვის ხელმისაწვდომი უფასო კურსები, საცა «კომუნისის ანბანის» გამოკლებით ცოტა მეტს და უკეთ ასწავლიან ვინემ ბოლშევიკურ რაბფაკებში. მაგრამ უხვი პურმარისის მადლით,

*) ყველაზე უფრო პოპულარული ფრანგული სამხედრო სიმღერა დიდი ომის დროს. დ. შ.



ბ-ნი ვიულანსი ამას ივიწყებს და ბოლშევიკურ «ბამ-ბას ახსრიალებს».

ჩვენ არ გამოვედგებით იმ აუარებელ ციფრებს და ცნობებს სასკოლო საქმის შესახებ, რომლითაც ჩვენი მოგზაური დატვირთეს მის მასპინძლებმა საქართველოში. მთელი ეს სარტყამო მასალა იმავე 1925 წელში დაარღვია ისეთმა საქმის მცოდნე პირმა როგორიცაა სერგო ორჯონიკიძე, ხოლო გასულ წელს—ახალმა «სპეცმა», კ. სულაქველიძემ, დასამარა «კომუნისტში» იმ საბჭოთა სკოლის ღირსება, რომელიც ბ-ნი ვიულანსი ევროპის ქვეყნებისათვის სამაგალითოდ გამოაქვს. მოვიყვანთ მხოლოდ რამოდენიმე სანიმუშო ცნობას, რომელიც ბოლშევიკებს მიუწოდებიათ თავბრუდახსმულ ფრანგისათვის და რასაც ის ხალას სინამდვილეთ გადასცემს საქმის უცოდინარ მკითხველს:

განათლების პროფ. კავშირის თავმჯდომარეს, ვინმე ქაცარავას, დაურწმუნებია ის, რომ ქართველი «ინტელიგენცია, რომელიც მაშინ (მენშევიკების დროს) უქმყოფილი იყო, მუშაობს ესლა ახალ მთავრობასთან. განსაკუთრებით მასწავლებლები და პროფესორები» (გვ. 145). გამოდის, რომ დამოუკიდებლობის დროს ინტელიგენცია ეროვნულ მთავრობასთან არ მუშაობდა, მასწავლებლები და პროფესორები სკოლას გაუბრდნენ! თუმცა რა გასაკვირია, რომ ეს ასე ყოფილიყო, როცა თურმე ეროვნულ მთავრობის დროს ქართული სკოლა მხოლოდ «თერორულათ» არსებობდა. აი მოუსმინეთ ბ-ნი ვიულანსს: «ქართული ენა, აკრძალული მეფის დროს, აღდგენილი თერორულათ მენშევიკების ხანაში, გახდა ქვეყნის ოფიციალური ენა ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ» (გვ. 144)!

ქართველ ხალხს ისეთი ნდობა აქვს ბოლშევიკების უანგარობის, რომ თურმე შესანახავათ გადასცა მათ უჭვირფასესი განძი; თფილისის მუზეუმში ერთი მიტრა უჩვენებიათ ვიულანსისთვის და თანაც უთქვამთ: ამ განძს რუსის ძველ მთავრობას უმაღლადენ, რადგან ის 15 მილიონი მანეთი ღირსო, ბოლშევიკები კი თურმე მუშაიასავით ინახვენ! (გვ. 162).

ასეთი არაბული ზღაპრებით სავსეა ჩვენი აღტაცებული ავტორის მოთხრობა. ის ერთხელაც ვერ ამჩნევს, თუ არ უნდა შეამჩნიოს, რომ მას ყოველ ნაბიჯზე ატყუებენ, ამასხარავენ. კიდევ ერთი მაგალითი იმ უხეში თვალთმაქცობისა, რომელსაც ბოლშევიკები უწყობდენ უცხოელ მოგზაურებს. რომელიმე ქალაქში «დელეგაცია» ათვალეირებს ამა თუ იმ დაწესებულებას; უცბათ მოსამსახურეთა შორის წამოადგება მშვენიერი სქესის არსება და წმინდა ფრანგულით მიმართავს დელეგაციას: «იქნებ თქვენს შორის ფრანგი იყოს?» ვიულანსი მას გამოელაპარაკება, საუბარი ისე ეწყობა, რომ ინიშნება პაემანი სამსახურის გარეშე, ალბათ მშვენიერი არსების ინიციატივით და ჩვეულებრივ მის ბინაზე. აქ აღმოჩნდება, რომ სტუმართ მოყვარე ქალი «კარგი ოჯახის შვილია» და თუმცა უპარტიოა, მაგრამ საბჭოთა მთავრობის დიდი პატივისცემელი და მათაყვანებელია. ასეთი «jenne fille de bonne famille» (კარგი ოჯახის ქალიშვილი), რა თქმა უნდა ტფილისშიაც «აღმოჩე-

ნილა» რომელსაც დაწესებულებაში. ისეთი «კარგი ოჯახის შვილი» ყოფილა ეს «უპარტიო» მშვენიერი არსება და ისე შეყვარებია მას ბოლშევიკები, რომ —მოგვითხრობს ვიულანსი—თვით მითხრაო, მშობლები არ ვიცი, სად არიან და არც მინდა ვიციოდე ამ ძველი რეჟიმის ხალხის ბედია (გვ. 166). ეს დედამისის უარმყოფელი ქალბატონი ისე გაწვრთნილი ყოფილა ბუხარინის «ანბანში», რომ ვიულანსს უკანასკნელი იჭვები გაუფანტა საბჭოთა რეჟიმის შესახებ.

კიდევ უკეთესი «ნომერი» მოუწყვიათ ჩვენი მოგზაურებისათვის ტფილისიდან უკანდაბრუნებისას. მათ გვერდით «კუპეში» ყოფილა ერთი მშვენიერი ქერა ქალი, რომელსაც კორიდორში «შემთხვევით» გამოლაპარაკებია უცხოელების მსლებელი კომუნისტი ალბეტანი და რახან «აღმოჩენილა», რომ ეს მშვენიერი არსება ინგლისურს ლაპარაკობს, დელეგატებისთვისაც გაუცვნია. ინგლისურს ისე ლაპარაკობდაო, მოგვითხრობს ვიულანსი, რომ უკეთ აღარ შეიძლებაო: ამერიკაში ყოფილა განსწავლული 200 სხვა ქალიშვილთან ერთად მეფის დროს. ისეთი ცოდნა გამოუჩენია კომუნისტის საკითხებში, რომ ყველანი გაუცვივებია და საშინლათ დაუმარცხებია კამათში ერთი უცხოელთაგანი, რომელიც მორცხვათ დემოკრატიის დამცველათ გამოსულა. ამ თვალთმაქცობაში ყველაზე უფრო კურიოზული ისაა, რომ ამ ჩეკის თუ კომინტერნის აგენტ ქერა მშვენიერებას თავი ქართველათ გაუსაღებია და ვიულანსიც მას, რა თქმა უნდა, «Georgienne-ათ აცნობს თავის მკითხველს!» (გვ. 188).

არც ბ-ნი «პროფესორ» კაწია სულაქველიძეს და უკლია ხელი «დელეგატების» გაბრიყვებისათვის. უცხო სტუმრები სავანგებოთ შეკყარეს «ყოფილ მენშევიკებს». მათის სახელით ულაპარაკნია კ. სულაქველიძეს თავის სანუკველ თემაზე: ჩეკაში ისე კარგად მეპყრობოდენ და ისე კარგად ვგრძობდი თავს, რომ ტრიგონამეტრიის წიგნი დავწერე იქო (აი სად გაუვლია ჩვენს კაწიას საპროფესორო სტაჟი!). ბათუმიდან ტფილისში ჩეკამ მეორე კლასით მატარაო. მიუხედავათ ჩემი მძიმე დანაშაულობისა «სასამართლოში» გამატარარეს და გამამართლესო. სწორედ ამ ლექსით გადმოგვცემს ვიულანსი სულაქველიძის ნაამბობს!

ასე გაამასხარავეს ჩვენი მოგზაური სოვეტების მზაკვრებმა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნი ვიულანსი თვით მონდომებული იყო გაებრიყვებინა თავი. კიდევ მეტი, ეს «უპარტიო» ფრანგი მასწავლებელი არავითარ ურიგობას არ ერიდება ბოლშევიკების გასათვთვრებლათ და ქართველი ხალხის გასაბახებლათ. მას ერთხელ, და ისიც უნებლიეთ, მიეცა საშუალება მიუდგომელ ადამიანს გამოლაპარაკებოდა და სინამდვილე შეეტყო. მას იყო ერთ ყავახანაში, საცა ის შემთხვევით უმსლებლოთ შესულა, რათა წვიმისგან თავი შეემყუდრებია. ყავახანის პატრონი აღმოჩენილა ფრანგი ქალი, რომელიც დიდი ხნიდან საქართველოში ბინადრობს და ქართველობაში დიდი ნაცნობობა აქვს. აი ამ მანდილოსანს აუწყებია მისთვის ის საშინელება, რომელიც ქართველ ხალხს გა-

დახდა მისი მხაგვრელებისაგან 1924 წლის აგვისტოს სექტემბერში. ამ საუბარის გადმოცემაში ბ-ნი ვიულანსი ისეთ სიყალბეს სჩადის, რომელიც ყველა საქმის მცოდნე მკითხველს თვალში ეცემა. აი გასინჯეთ: ჩემ შეკითხვაზე—როგორ უყურებთ საბჭოთა მთავრობას, ფრანგის ქალმა მიპასუხაო: «აჰ, ბატონო,—და მან დაუშვა ხმას: იმდენი ხალხი დახარცეს. საშინელებაა. თავადები, ბატონო, მეფის სისხლის თავადები, ისეთი კარგები—შირად მოდიოდნენ ჩემთან ყავის დასალევად, დიახ, დიახ, ეს მშვენიერი თავადები მოიტაცეს ერთ ღამეს, წაიყვანეს მთებში და მას აქეთ არავინ არაფერი იცის მათი» (გვ. 174). ამ «ლიუბანტედან» ამოღებულ ტირადას უდებდა პირში ჩვენი ავტორი ტფილისში დიდი ხნიდან მცხოვრებ ქართველობაში დიდი ნაცნობობის მქონ, ჩვენი უდიდესი ტრადიციის მოწამე მანდილოსანს.

ასეთია ბ-ნი ვიულანსის წიგნი, ასეთია თვით ბ-ნი ვიულანსის ზნეობრივი ავლადიდება.

მისი ფანტასტიური სიყალბე, 227 გვერდზე გაჭიმული, ქართველმა მკითხველმა შეიძლება სასაცილოდ მიიჩნიოს. შემცდარი იქნება. სამწუხაროდ ვე-

რობაში კიდევ მრავლად მოიპოვება ე. წ. «დიდი ბოლშევიკური რევოლუციის» ბრმა თაყვანისმცემლები და არა მარტო მოკომუნისტო მუშათა, არამედ აგრეთვე ინტელიგენციის წრეებში. რომლებუნდაც ეს სიყალბე, ჭორები და ზღაპრები შთაბეჭდილებას ახდენს. სიმართლე საქართველოს შესახებ, რომელსაც ჩვენ შეძლებისდაგვარად ვუპირისპირებთ ჩვენი მტრების მოსყიდულ და უსასყიდლო ქომაგებს, ყველა წრეებს ვერ სწვდება. სხვა არ იყოს იმ მიზეზით, რომ ჩვენ ხელთ გაცილებით ნაკლები საშუალებაა სიმართლის გავრცელების, ვინც ჩვენი მტრის ხელშია ტყუილის და სიყალბის გავრცელების იარაღი.

სანამ ქართველი ხალხი წაქცეულია, სანამ მას თავისუფლება არ მოუპოვებია, ყოველ უსინდისო თუ ბრიყვ გამველ-გამომველს საშვალეა აქვს მას წიხლი უთავაზოს და მის წმინდა საქმეს ჩირქი მოსცხოს უცხოეთის თვალში.

ასეთია ერთი წყალობათაგანი იმ უმგვანო «არსებულ ფაქტისა», რომელსაც უცხოეთის ოკუპაცია ეწოდება.

დ. შ.

თ უ რ ქ ე ს ტ ა ნ შ ი.

(წერილი მეორე)

1913 წელს თურქესტანში ჩამოვიდნენ მიწათმოქმედების და სამხედრო მინისტრები კრივოშენინი და სუხოპოლინოვი. სამარყანდის სამხედრო გუბერნატორმა გენ. ოდიშელიძემ ისარგებლა ეს გარემოება და მოახსენა მათ, რომ ადგილობრივი მკვიდრნი უჩივიან გადასახლების უწყების მოხელეებს, რომლებიც სრულებით არ უწყებენ ანგარიშს მუსულმან მცხოვრებთა ინტერესებს. ამაზე კრივოშენინმა, რომელსაც თავის «ლიბერალიზმით» თავი მოქონდა, უპასუხა: «რუსეთის მთავრობას ნაკლებად აინტერესებს ადგილობრივ ხალხის მდგომარეობა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მხოლოდ გადმოსახლებულ რუსთა მოწყობაზე. თუ აქაურ მცხოვრებლებს ჰგონიათ, რომ ვავიწროვებთ, შეუძლიათ სხვა ადგილებზე დაბინავდნენ. მაღლობა ღმერთს, მომთაბარეებისთვის თურქესტანში მიწა საკმაოა»...

ეს ამბავი ორჯელ მოვისმინე პირადად გენერ. ოდიშელიძისაგან: 1913 წ. თურქესტანში, სადაც პირველად შევხვდი, და 1919 წ. ტფილისში.

მეფის «ლიბერალ» მინისტრის სიტყვებში სრულის სინამდვილით არის დაფასებული რუსეთის პოლიტიკა თურქესტანში. ოღონდაც რუსის მთავრობა ანგარიშს არ უწყევდა თურქესტანის მკვიდრთა ინტერესებს. «თეთრი მეფის» მთელი მოქმედების საფუძველი იყო რუსების ჩამოსახლება ჩვენს მიწაწყალზე.

რუსეთის «კოლონიალური პოლიტიკა» დავერობის სახელმწიფოების «კოლონ. პოლიტიკა» ერთმანეთში განსხვავდებიან. ევროპელები თავის ახალშენებში ეძებენ ბაზარს თავის მრეწველობისთვის. ახალშენებში მიდიან ნეღლი მასალიათვის. ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ევროპიელ «დამპყრობელებს» წინ უსწრობენ ვაჭრები და მრეწველები. სულ სხვაა

რუსეთი. რუსის სალდათებს წინ მიუძღვებიან ან თან მისდევენ გადასახლებული რუსის გლეხები. ამაშია რუსეთის რეჟიმის საშინელება. ახალშენების ვერავითარი კაპიტალისტური და იმპერიალისტური ექსპლოატაცია ვერ შეედრება მიწების ჩამორთმევას და გაბატონებულნი ვერის წარმომადგენლების გადასახლებას ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც თავის სახლში ყოველ უფლებას არიან მოკლებულნი, მაგრამ ჩვენი ბატონები კი ხდებიან. ინდუსებისთვის უფრო ადვილია ინგლისის ბატონობისაგან განთავისუფლება, ვიდრე ჩვენთვის, თურქესტანლებისთვის, რუსეთისაგან, რადგან ინდოეთში არ არიან ჩამოსახლებულნი ინგლისელი გლეხები. შესაფერ საშინაო და საგარეო პირობებში ჩვენ გადავიგდებთ რუსეთის უფელს, მაგრამ ჩვენში დარჩება ეკონომიურად ღონივრად დამკვიდრებული რუსის გლეხობა, რომელნიც თურქესტანის «მშვიდობიანი მოქალაქენი» იქნებიან, მაგრამ ყოველთვის მისცემენ რუსეთს საბაბს, ჩაერიოს ჩვენს საქმეებში.

მოკლედ მოგახსენებთ რუსების გადასახლების საქმეს.

ეს გადასახლება თურქესტანში დაიწყო ადრე, ვიდრე რუსეთი დაიპყრობდა. 1867 წ., თურქესტანის საგენერალგუბერნატორს დაარსების დროისთვის, სემირეჩიეს ოლქში ითვლებოდა 15 ათასი რუსის გლეხი. 70 წლებიდან გადასახლებულთა ტალღა მოედვა სხვა ოლქებსაც. რევოლუციის წინ გადმოსახლებულ რუსთა საერთო რიცხვი შეადგენდა 300 ათასს, ე. ი. ადგილობრივ მკვიდრთა საერთო რიცხვის 4 პროცენტს.

მოვიყვან რამდენსამე მაგალითს რუსეთის პოლიტიკის დასასურათებლად. სარევიზიოდ გამოვზა-



ენილი სენატორი გრ. პალენი სწერდა 1910 წ.: «6 ნა-
ხევ. ათასი რუსის გლეხის მოსაწყობად სემირაჩიის
ოლქში ავყარეთ 30 ათასზე მეტი მიწათმომქმედი ყა-
ხან-ყირგიზი...»

რუსის მკვლევარი ვასილიევი იმავე ოლქის შე-
სახებ დასძინს: «ყაზახ-ყირგიზებს ართმევდნ საუკე-
თესო მიწებს და თვითონ მათ ერეკებოდნ უდა-
ბნო ადგილებსა და უნაყოფო მთებში». სულ მთელ
სემირაჩიეში 1913 წლამდის ადგილობრივ მკვიდრთ
ჩამოართვეს 4.193.520 დეს. მთავრობა არ კმაყოფილ-
დებოდა ამით, თუ რუსის გლეხს რამე საქონელი და-
ეკარგებოდა, ეს უნდა ეხლოებულ ყაზახ-ყირგი-
ზთა სოფელს. ვადმოსახლებული რუსები შეეჩვიენ
ამ მდგომარეობას იმდენად, რომ 1927 წ. სემირაჩიე-
ში ამ ნიადაგზე დიდი შეტაკება მოხდა რუსებსა და
ადგილობრივ მკვიდრთა შორის, რომელთაც არ უნ-
დოდათ რუსების დაკარგულ ძროხების ანაზღაურება.
ამ კანონს ის მოყვა, რომ როგორც კი სადმე რუსები
დასახლდებოდნენ, ყაზახ-ყირგიზები სტოვებდნ მ-
ხლობელ ადგილებს და ბინადვებოდნენ შორს. ამის
მიზეზით გახშირდა მომთაბარეობა.

ასე ხდებოდა სხვა ადგილებშიც. ხოლო თურქმე-
ნთა შორის (კასპიის იქითა მხარე) ასეთ საშუალება-
საც მიმართავდა რუსის მთავრობა: როცა ადგილო-
ბრივ თემებს დაეა ჰქონდათ ერთმანეთში ადგილების
შესახებ, რაც სადავო მიწა იყო, სულ ვადმოსახლე-
ბულ რუსებს აძლევდა მთავრობა. ასე ასი ათას დე-
სეტ. მეტი მიწა ვადავიდა რუსების ხელში.

ამნაირის პოლიტიკით ნაკლებად დაზარალდნენ
თურქესტანის მოზინადრე უზბეკები. ხოლო აქ რუსე-
თის მთავრობა აწარმოებდა სხვანაირ ეკონომიურ
და აგრარულ პოლიტიკას. საზინის ხელში გადასულ
მიწებზე ასახლებდნ მხოლოდ რუსებს. ხოლო უზბე-
კებს მათ საკუთარ მიწაზე თითქმის იძულებით ათე-
სვინებდნ მარტო ბამბას და მოსავალს ყაჩადურად,
წინდაწინ ავანსების გაცემით, სულ იაფად იგდებდნ
ხელში. სშირად ხელმოკლე მეპატრონეებს ვალებში
უყიდოდნ ადგილებს და სრულებით უმიწაყლოთ
სტოვებდნ.

ამის შედეგი ის იყო, რომ რუსეთის საქსოვ მრე-
წველობას საქირო ბამბის 3 მეოთხედს აწვდიდა თუ-
რქესტანი, სამაგიეროთ თურქესტანის მკვიდრნი სავ-
სებით დამოკიდებულნი იყვნენ რუსეთიდან შემოტა-
ნილ პურზე.

მოკლედ ეს იყო პოლიტიკა შევიწროვებისა სი-
მშილის ძალდატანებით.

მართველობის საზოგადო პოლიტიკა არ ჩამოუ-
ვარდებოდა ეკონომიურს.

თურქესტანს არ ჰქონდა უფლება სახელმწიფო
სათათბიროს არჩენებში მონაწილეობისა. ჩვენ არ
გვქონდა არც საქალაქო და არც საერობო თვითმარ-
თველობა. მარტო ტაშკენტსა და ვერწში (აწინდელი
ალმაატა) არსებობდნ საქალაქო საბჭოები ეკატე-
რინეს დროინდელის დებულებით. უზბეკები ტაშკე-
ნტში მცხოვრებლების ორ მესამედს შეადგენდნენ,
საბჭოში კი ყავდათ ერთი მესამედი წარმომადგენ-
ლებისა. ქალაქის თავს ნიშნავდა სამხედრო მინისტ-
რი და იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მუსულ-

მანი. უფრო შეზღუდულნი იყვნენ ალმა-ატას მკვი-
დრნი.

ადმინისტრაციაში ჩვენ არ გვაძლევდნ არავი-
თარ საპასუხისმგებლო თანამდებობას. თარჯიმანთა
და წვრილ მოხელეთა ადგილი—არ რას იმეტებდნ
მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებისთვის. ჩვენ-
თვის დაკეტილი იყო ფოსტა, ტელეგრაფი, რკინის
გზა. არამც თუ სადგურის უფროსის და მემბნანის,
არამედ კონდუქტორის, ვაგონის გამბობის ან სად-
გურის დარაჯის თანამდებობაზე არ იყო არც ერთი
მკვიდრი მუსულმანი. ჯარშიც ხომ არ გვიღებდნ.
ერთის სიტყვით, საკუთარ ქვეყანაში ჩვენ ვიყავით
«სხეულის მკვდარი ნაწილი».

ეს ჩვენი სრული საზოგადოებრივ-პოლიტიკური
და, თუ შეიძლება აგრე ითქვას, ტენსიკური სიღამ-
ბლე იყო იმის მიზეზი, რომ მონარქიის დამხობის
დროს ჩვენ ვერ ვისარგებლდებ ჩვენი უმრავლესო-
ბის უფლება, ვერ განვხორციელებ ვერც ერთი მუ-
ხლი ჩვენი ეროვნულის პროგრამისა და 12 მილიონი
მკვიდრი ხელში ჩავუვარდით ვადამთიელების მკირე
ჯგუფს. აქედან წარმოსდგება ჩვენი ერის ტრაგედია,
რომელიც ჯერაც არ ვამთავრებულა.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა «თე-
თრი მეფისა» შავზე შავია. არ გვაძლევდნ ნებას ვა-
გვეხსნა ახალმეთოდის სკოლები, რომ დედაენაზე
მოგვეწყო სწავლება საერო საგნებისა—გეოგრაფიის,
ბუნებისმეტყველების, არითმეტიკის... ახალმეთო-
დისტები, აგრეწოდებული «ჯადილები», უსაზინელეს
რევოლიუციონერებად ითვლებოდნენ. «ოსმალეთის
ავენტებად» სთვლიდნ მათ, რუსების ბატონობის
მტრებად, და სდევნიდნ სასტიკად...

ენახოთ რუსული სკოლა და ჩვენი «ვეროპიული
განათლება». ტაშკენტის გიმნაზია რევოლუციამდე,
35 წ. განმავლობაში ვათავა მხოლოდ ხუთმა ადგი-
ლობრივმა მკვიდრმა, რომელთა შორის ერთი ამ
სტრიქონების დამწერია. მარგელანის გიმნაზია ვა-
ათავა ერთმა მკვიდრმა. ტაშკენტის რეალური სასწა-
ვლებელი ორმა, ასხაბადის გიმნაზია ორმა და ალმა-
ატას გიმნაზია 5-6 კაცმა,—აი მთელი ჩვენი განათლე-
ბული საზოგადოება.

მთელ თურქესტანში დაარსებული იყო ორასი
აგრეწოდებული რუსულ-ადგილობრივი პირველდა-
წყებითი სკოლა. აქედან ვამოდიოდნ სოფლის მწე-
რლები და ბოქაულელები და მზრის უფროსების თა-
რჯიმანები. თუ იშვიათ შემთხვევაში ვინმე მოასერ-
ხებდა საქალაქო სასწავლებელში ვადასვლას და მერე
სამოსწავლებლო სემინარიის ვათავებას, ინიშნებო-
და პირველდაწყებითი სკოლის მასწავლებლად.

ასეთი იყო ჩვენში არსებული «ვეროიული განა-
თლება»...

ჩვენ არ შეგვეძლო ვაზეთების ვამოცემა. ვენე-
რალგუბერნატორს ჰქონდა თავისი «ადგილობრივი
თურქესტანული ვანეთი», რომელსაც სცემდა მისი
კანცელარია 1870 წლიდან. ამ ვაზეთის რედაქტორი
იყო ტაშკენტის სამასწავლებლო სემინარიის დირე-
ქტორი ნ. პ. ოსტროუმოვი, პოზედონოსცევის მიმ-
დევარი და მისი აზრების ვამავრცელებელი, მისიო-
ნერი და მუსულმანობის მოძულე. თუ რავგარი პო-

ლიტიკური და კულტურული გავლენა ჰქონდა ამ ოფიციალურ გაზეთს, დაინახავთ შემდეგის ამონაწერიდან:

«ერთხელ ჰკითხეს ღვთის მოციქულს და დიდს წინასწარმეტყველს მაჰმადს: ყურანის რომელი თავი უნდა წაიკითხო, ვიდრე სამოვარზის ნახშირს ჩაყრიდეთ. და უპასუხა დიდმა წინასწარმეტყველმა (საუკუნოდ იყოს ხსენება მისი): ვიდრე ნახშირს ჩაყრიდე სამოვარზი, უნდა წაიკითხო შემდეგი ლექსი...»

სამწუხაროთ ეს ანეგდოტი არაა და არც ამერიკული რეკლამა რუსული სამოვარზების გასაფრთხილებლად, არამედ ნამდვილი ამბავია სამარცხვინო რუსული კულტურული პოლიტიკისა თურქესტანში.

მე დავახსიათე მოკლედ რუსების მოღვაწეობა, რომელიც ჭეშმარიტად საზიზარო იყო ჩვენს ქვეყანაში!

როცა თურქესტანზე ჩამოვარდება ლაპარაკი, რუსებს უყვართ თქმა—რკინის გზა გავიყვანეთ, ტელეგრაფიო. მაგრამ რა ფასი აქვს ამ რკინის გზებს, სადაც ჩვენ უბრალო მსახურადაც არ მიგვიღებენ?

იტყვიან იმასაც: მოქალაქებრივობა დავამყარე-

თო. მაგრამ როგორი მოქალაქებრივობაა ეს, როცა ადგილობრივი მკვიდრნი სრულიად უფლება-აყრილი არიან?

ამასაც დაიტრახებენ ხოლმე: რუსების მეოხებით თურქესტანში მშვიდობიანობა და სიწყნარე დაწყდაო. როგორ არ იქნები წყნარად და მშვიდობიანად, როდესაც თავს ხიშტი და ტყვია გადგია?

თურქესტანში იყო აჯანყება-არეულობანი, რომლებიც საშინელის სიმკაცრით ჩააქრო მთავრობამ. ანდიჟანის ამბოხება 1898 წ. და საყოველთაო მთელ თურქესტანში 1916 წ. ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი მშვიდობიანობა იყო დამკვიდრებული რუსის მთავრობის მიერ.

უაღრესი აღფრთოვანებით მივეგებეთ თურქესტანელები თებერვლის რევოლუციას. იმედი მოგვეცა, რომ თურქესტანის მართველობა მოეწყობოდა ეროვნულ თანასწორობის საფუძველზე. ვოცნებობდით ავტონომიას, თანასწორუფლებიან შტატების ფედერაციას.

მაგრამ...

მუსტაფა ჩოგაჯევი.

საქართველო საკითხი.

საფრანგეთის პარლამენტში მომავალი წლის სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს კომუნისტმა ბერონმა განაცხადა, რომ მთავრობა დიდძალ ფულს ხარჯავს შეიარაღებულ კერძოთ უსაყვედურთა სოციალისტებს. რომ ისინი მხარს უჭერენ ბურჟუაზიას საომარ სამზადისში საბჭოების წინააღმდეგ.

ამას მოჰყვა საყურადღებო შეკამათება, რომლის დროს ერთხელ კიდევ იყო აღნიშნული ბოლშევიკების ვერაგობა საქართველოს მიმართ.

სოც. გრუმბახი ეკითხება ბერონს: რას ჰფიქრობთ თქვენ იმ ავიონების შესახებ, რომლებიც რუსეთმა დაუკვეთა გერმანიას ან იმ ამუნიციონზე, რომელსაც

საბჭოების ქარხნები ამზადებენ გერმანიისთვის? ფინ. მინისტრი შერონი: საბჭოების კავშირის სამხედრო ბიუჯეტი უდრის 16 მილიარდს ფრანკს. კომუნისტი ბერონი: კიდევ რომ მართალი იყოს ეგ ციფრი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთი დიდი ქვეყანაა, 140 მილ. მცხოვრებით...

სოც. რენოდელი: და ამ 140 მილ. ქვეყანამ საჭიროდ დაინახა, დაეხმო საქართველო, სადაც 3 მილ. მცხოვრებია! (ხანგრძლივი ტაში). დიდი ხანი არაა, რაც თვითონ თქვენ, კომუნისტები, მოითხოვდით ერებისთვის თვითგამორკვევის უფლებას. როგორ მოეპყარით ამ საკითხს საბჭოების სამეფოში? (კვლავ ტაში).

მონხენება საქართველოზე ლენდონში.

ნოემბრის 22-ს, R. soc.-ის ხელმძღვანელობით ლონდონის ხელოვნების აკადემიაში გაიმართა ლექცია საქართველოს შესახებ.

ლექტორათ მოწვეული იყო ბ. ვილიამ ალენი ახალგაზრდა ინგლისელი მოგზაური და მწერალი.

ბ. ალენი საქართველოსა და მის დღევანდელ მდგომარეობას კარგათ იცნობს და განსაკუთრებით მის უძველეს ისტორიას. საქართველოსადმი ინტერესი პირველათ 1918 წელს აღძვრია, ე. ი. იმ წელში, როცა საქართველომ თავისი დამოუკიდებლათ არსებობის მტკიცე სურვილი ამცნო მთელს კაცობრიობას. გასცნობია რა ერთხელ საქართველოს ისტორიას ბ. მ. ბროსეს, ქართველოგიის ფრანგი პიონერის წიგნების საშვალეებით, იგი იმდენათ გაუტაცნია მას, რომ გადაუწყვეტია შეესწავლა არამც თუ თანამედროვე საქართველოს საკითხი, არამედ მისი წასრული ისტორია და ლიტერატურაც. წასრული ისტორიის

შესწავლაში იგი მეტის მეტათ დაინტერესებულა მის უძველეს ეპოქით, რომლის შესწავლას დღეს მხნეთ განაგრძობს. მისი მუშაობა და ინტერესი იმდენათ გაღრმავებულია და გაფართოვებულია, რომ მის სპეციალურ საგანს ახლა შეადგენს ქართველი ერისა და მისი ენის წარმოშობის საკითხი, რისთვისაც ეცნობა ურართოლოგიას, ხეთოლოგიას და სუმეროლოგიას. ამ ყამათ იგი მეტის მეტათ გატაცებულია არქეოლოგიით და ეწევა დიდ მეცნიერულ პროპაგანდას, დამზადოს ნიადავი საქართველოს და ლაზისტანში სპეციალური არქეოლოგიური მისიის მოსაწყობათ.

წიგნობრივ გაცნობასთან ერთად მოინდომა გასცნობოდა საქართველოს პირადათაც. წასულა იქ 1925 წელში. დარჩენილა ექვსი კვირა, რომლის განმავლობაში საკმაოთ მოუვლია მთელი საქართველოს რესპუბლიკა, ყოფილა ყველა ისტორიულად მნიშვნე-



ნელოვან მხარეში. ამ ზაფხულში მას მოუვლია სამა-
კმადიანა, ეგრეთ წოდებული ოსმალეთის საქართ-
ველო.

და აი ამ მოგზაურობაში მიღებულ შთაბეჭდილე-
ბანი მან გაუზიარა სელოვნების აკადემიის წევრებს.

დამსწრე წევრთა და სხვათა რიცხვი დიდა უნდა
ყოფილიყო, ვინაიდან აკადემიის დიდი დარბაზი,
სადაც კრება მოხდა, ძლივს იტევდა დამსწრე საზო-
გადოებას. თავმჯდომარეთ იყო «პალესტინის გმი-
რი», როგორც მას ინგლისელები ეძახიან, ეგვიპტის
ყოფილი უმაღლესი კომისარი, ლორდ ალენბი.

დამსწრეთა შორას, გარდა, რასაკვირველია აკა-
დემიისა და «R. soc.-ის» გამგეობის წევრებისა იყო

ბევრი გამორჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვა-
წე. იყვნენ აგრეთვე მაღალი წრის წევრნიც (ბ. ალენი
სიძეა უძველესი გვარეულობის ლორდი ლავლეი-
სისა; მისი მელლე შთამამავალია დედის მხრივ პო-
ეტი ლორდ ბაირონია). პრესაც საკმაოდ იყო წარმო-
დგენილი.

დაესწრო ქართველთა მთელი კალონია. ბრძან-
დებოდა საქართველოს ელჩი პარიზში, ბ. ა. ჩხენკელი,
რომელიც ამ ეპოქაში ლონდონში იმყოფება; დაესწრო
აგრეთვე სერ ოლივერ უოდროპიც, ინგლისის ყო-
ფილი ელჩი საქართველოს დემოკრატიულ რესპუ-
ბლიკაში.

X.

უცხოეთის მიმოხილვა.

ჰერბერტ ჰუფერი.

ამერიკელები იტყვიან მედიდურათ, რომ მათ
პრეზიდენტს უჭირავს უმაღლესი თანამდებობა მსოფ-
ლიოში. და მართლაც, არ არის მონარქი, არც პრეზი-
დენტი, რომელსაც ისეთი გავლენა ჰქონდეს თავის
ქვეყნის სეზებდნე, როგორც აქვს «თეთრ სასახლეში»
მჯდომს. თუ ინგლისში იტყვიან, მაგ, რომ მონარქი
მეფობს, ხოლო მისი «მრჩეველი» ანუ პრემიერი მან-
რათავს ქვეყანას, ჩრდილოეთის შეერთებულ შტატე-
ბში ნამდვილი მმართველი მხოლოდ პრეზიდენტია
და მინისტრები მის და არა პარლამენტის წინაშე არ-
იან პასუხისმგებელნი. და ეს განსაკუთრებული მდგო-
მარეობა გამოსუვივის, პირველ ყოვლისა, საარჩევნო
წესშიც. ყოველ ოთხ წელში პრეზიდენტს ხალხი ირ-
ჩევს, ხოლო ერთგვარი პლებისციტი, იმ განსხვავებით
რომ ჯერ ირჩევენ ამრჩეველ და შემდეგ ეს უკანას-
კნელნი 3—4 თვის განმავლობაში ირჩევენ პრეზი-
დენტს. აქ საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ამრ-
ჩეველნი არ შეიძლება იყვნენ არც დეპუტატები, არც
სენატორები, და მათი ერთად ერთი დანიშნულება ა-
რის პრეზიდენტის და მისი მოადგილის არჩევა, რის
შემდეგ უნდა დაიშალნენ. ესეც იმიტომ რომ, ვინი-
ცობა პრეზიდენტი გარდაიცვალა ან უკუაზუე შეირყა,
მისი მოადგილე ხდება ავტომატიურათ პრეზიდენ-
ტად და ამრჩეველებს მეორეხელ არავინ ეკითხება.

საიდან ვიცით რომ ჰუფერია არჩეული, მისი ა-
რჩევა ხომ მომავალ მარტს უნდა მოხდეს? ჩვენ ეს ვი-
ციით იქიდან რომ მისი ამრჩეველნი დიდ უმრავლესო-
ბას შეადგენენ და აქვთ იმპერატიული მანდატი რეს-
პუბლიკანურ პარტიისაგან. მეორე პარტიამ, დემო-
კრატიუმა, გაიყვინა ამრჩეველთა უმცირესობა. რაც
შეეხება სოციალისტებს და კომუნისტებს. მათაც წა-
მთავყენეს ცალ—ცალკე კანდიტატები, მაგრამ ვერც
ერთი ამრჩეველი ვერ გაიყვანეს.

აღფერდ სმირტი, ნიუიორკის შტატის გუბერნატო-
რი და დემოკრატიების კანდიდატი, ძალიან პოპული-
არულია. გამოსულია ლატაკი ოჯახიდან. მაგრამ მას
ქონდი ორი ნაკლი: ა) ის იყო კათოლიკე, ამერიკაში
კი სწარბობენ პროტესტანტები და ებრძვიან რომის
გავლენას, თან არასდრს კათოლიკე პრეზიდენტათ არ
ყოფილა; ბ) ის იყო «სველი», ე. ი. იმუქრებოდა დაკა-

ნონებული აბსენტეიზმის გადასინჯვას, რაც «მშრა-
ლებს» არ მოსწონდათ.

მაგრამ გამარჯვების, ისე როგორც დამარცხების ღრმა
მიზნები არის იმაში, რომ ორ მეტოქე დიდ პარტიაში
ათქვეფილია საპროგრამო მუხლები, რომ ვერც კი გა-
არჩევთ ერთმანეთისაგან. ძველი დავა პროტექციონი-
ზმზე, თუ ოქრო ვერცხლის უპირატესობაზე გაჰქრა-
ვილსონის მიერ აღებულ ხაზს ერთა ლიგის მიმართ,
აგრეთვე ვალების კითხვაში, არ ინაწილებენ დემოკ-
რატიებიც, რესპუბლიკანებზე რა ითქმის. დემოკრა-
ტიები ფაქტიურათ მდიდარ ფერმერებს და ბანკ-ტრე-
სტებს ეყრდნობიან, ხოლო ამ მხრივ რესპუბლიკანე-
ლები ჯერ მაინც ძლიერნი არიან დემოკრატიებზე.—
აქედან მათი გამარჯვებაც ადვილი ასახსნელია.

ჰუფერის არჩევა მოასწავებს მსხვილი ფინანსე-
ბის სრულ გაბატონებას ამერიკაში. ის იყო კული-
ჯის საჯარო მინისტრი და აიყვანა თავის ქვეყნის
ეკონომიური აყვავება აქამდის მიუწოდებელ საფეხუ-
რამდე. ომის დროს ის იყო მთელი ევროპის გამომკვე-
ბი. პროფესიით ინჟინერი, ის ნამყოფია დედა-მიწის
ყველა კუთხეში. იცნობს ზედ-მიწევნით რუსეთს, უმ-
სახურნია იქ, და ბლოშევიკების შეურიგებელი მტე-
რია. ჰუფერი იცნობს საქართველოსაც, მთელს კავ-
კასიას. ჰყავდა იქ თავისი ავენტურიც ადგილობრვი
პირობების შესასწავლათ.

რაიმონდ პუანკარე

«გროვული კავშირის» სამინისტრო დაეცა სა-
ფრამგეთში, თვითონვე დაიშალა საპარლამენტო უნ-
დობლობის გამოუცხადებლათ. ამის მიზნები იყო რა-
დიკალების კონგრესი ანერში, სადაც უკანასკნელ
წუთში, კაიოს და მისი მეგობრების წყალობით ერთი
ფრანა იქმნა მიმატებული საპროგრამო დეკლარა-
ციაში: აქ მოთავსებულ რეფორმებს პუანკარეს მთა-
ვრობა ვერ განასორციელებს. ეს იწყინეს ერიომ,
ალბერტ სარომ და ორმა სხვა რადიკალ მინისტრე-
მა და პუანკარეს კაბინეტიდგან გავიდნენ. მაშინ პუა-
ნკარემაც უარი სთქვა პრემიერობაზე და იშვა კრიზი-
სი. ბევრი თათბირის შემდეგ პრეზიდენტი იძულე-
ბული შეიქნა ისევ პუანკარესათვის მიენდო სამინის-
ტროს შედგენა. მან კი მიმართა იმავე რადიკალებს,

მაგრამ მათ უარი სთქვეს თანამშრომლობაზე და მაშინ პუანკარემ «დამოუკიდებელ სოციალისტებისაგან» (ესენი სხვაა და საერთო არიფერი აქვთ ბლიუმბრენდელის პარტიასთან) აიყვანა ახალი მინისტრები. ბრიანი და პენლევე ადგილზე დარჩენ. მარჯვნიდანაც ერთის მაგიერ ორი მინისტრი დაინიშნა, მათ შორის მაკინო. ყოფილი სამხედრო მინისტრი,

ჩვენ არ შეუდგებით უთანხმოების მუხლების განხილვას პუანკარესა და რადიკალებს შორის. ისინი არც იყვენ ისე დიდი და უმთავრესში კომპრომისიცი კი იყო გამონახული თვით ძველ მთავრობაში-კონგრეგაციების კითხვაში. თავი და თავი ისაა, რომ რადიკალების მარცხენა ფრთა «ეროვნული კავშირის» და მისი მეთაურის პუანკარეს მისიას დასრულებულად სთვლიდა და ფიქრობდა ძალა-უფლების ხელში აღებას, ან ოპოზიციის გადასვლას. მართლაც პუანკარეს ორი წლის მოღვაწეობამ გამოიღო ის ნაყოფი, რომ გატარდა ფრანკის სტაბილიზაცია და ბიუჯეტის წონათსწორებას მკვიდრი საძირკველი ჩაეყარა. მაგრამ, ვინაიდან ვალების (ამერიკა-ინგლისის მიმართ) კონსოლიდაცია და სარეპარაციო პრობლემის საბოლოო მოწესრიგება ჯერაც არ მომხდარა, საზოგადო აზრი და თვით პალატისა და სენატის ვაგლენიანი წრეები პუანკარეს ისევ პრემიერად მოწვევას მოითხოვდნენ. მეორეს მხრით, რადიკალებს რომ ქვეყნის მართვა შესძლებოდათ. საპირობო სოციალისტების არა მარტო მხარის დაჭერა, არამედ სამინისტროში შესვლაც. ეს კი ადვილი არაა დღევანდელ ვითარებაში.

არის ერთი გარემოებაც, რომელზედაც არ სწერენ. მაგრამ თავის თავათ იგულისხმება: რადიკალები შეუშინდნენ პასუხისმგებლობას ქვეყნის წინაშე, არ იკისრეს ისეთი კითხვების გადაჭრა, როგორცაა რეპარაცია და ევაკუაცია. ეს პუანკარეს მოახვიეს თავზე და ისიც დიდის ენერჯით შეუდგა საქმეს. ამისათვის მან ფინანსთა მინისტრის მოვალეობაც სხვას დააკისრა და თვითონ უპრობლემოდ პრემიერად იქცა.

ახალი მთავრობის მიერ წაკითხულ დეკლარაციიდან სჩანს. რომ ის ეცდება შეინახოს თანხმობა რესპუბლიკანურ პარტიათა შორის, ამიტომ გამოჰყავს ბიუჯეტიდან კონგრეგაციების კითხვას, შინაურ პოლიტიკაში ის იქნება მტკიცე და შეებრძოლება როგორც კომუნისტურ, ისე უკიდურეს მემარჯვენეთა ავანტიურებს. ეს კი მოასწავებს იმას, რომ მას არ ექნება «გულითადი» დამოკიდებულება მოსკოვთანაც.

მთლიანი ფორტი

რაც შეეხება მოსკოვს, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. დაარსდა მთლიანი საერთაშორისო ფორტი მის მიმართ! ჩვენ ვვლასხმობთ ძველი რუსეთის მეგობრთა გაერთიანებას, მათი ორგანიზაციის შექმნას ლონდონში. როგორც იქნა შეიგნეს ბოლოს, რომ ცალ-ცალკე ლაპარაკი და მუშაობა მოსკოვთან უნაყოფოა, საზარალო და ზოგ შემთხვევაში დამლუპველიც. პირდაპირ გასაკვირია, რომ ვერ მიუხვდნენ მოსკოვის ხრიკებს, მის მოხდენილ თამაშს სხვა და სხვა სიხელმწიფოთა და კაპიტალისტურ ჯგუფების უთანხმოების ნიადაგზე; ან კიდევ თუ მიხვდნენ, მაინც განაგრძობდნენ მის ანკესზე ჩამოცმას სპეკულიაციის მიზნით.

თავდაპირველად გერმანიაში იგრძნეს ეს უხერხულობა, რადგანაც სწორეთ ამ ქვეყანას ჰქონდა ყველაზე მეტი მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება რუსეთთან. უკანასკნელის ვენშტორგი, მაგ. სარგებლობდა მეტოქეობით გერმანიის მრეწველთა შორის და იღებდა თვითულის ნაწარმოებს დაცემულ ფასებში. ესლა, როგორც ვიცით, მრეწველი გაერთიანდნენ, აგრეთვე ფინანსისტებიც და შექმნეს ერთი ორგანო, რომელიც გამოიღო ყველას სახელით და ამით მოესპო მოსკოვის ვენშტორგს სავალდებინავარდოს.

ჩვენ ვიცით საბჭოთა პრესის გაბრაზება. ლალატს სწამებენ გერმანიას. ემუქრებიან. მაგრამ ეს თავდასხმა დღეს გაორკეცებულია. სწამებენ გერმანიას რაპალოს ხელშკრულების დარღვევას. რატომ? იმიტომ რომ ლონდონის ფორტში გერმანელიც შედიან! ეს მართალია. არავინ ელრდა და თვით გერმანიის მთავრობაც—ნუ დაივიწყებთ. მისი მეთაურია ესლა სოც. დემ, მიულერი! — ებოდიშება მოსკოვს: ჩვენ არაფერ შუაში ვართ, კერძო პირების საქმეაო. თითქოს ასეთი ნაბიჯები მთავრობის დაუკითხავათ ხდებოდეს!

მეგობრთა ორგანიზაციის სახელით, მისი კომიტეტი აცხადებს, რომ ის არ ისახავს «პოლიტიკურ» მიზნებს. იცავს თავის წევრების ინტერესებს და სანამ მათთან არ მოუწესრიგებია მოსკოვს ძველი ვალების საქმე, ჩვენ წინააღმდეგობას გაუწევთ ყოველ ახალ კრედიტს მოსკოვისთვის. თითქოს ეს პოლიტიკა არ იყოს! უფრო საშინელი არც მოხმანებიათ კრემლის სტუმრებს.

გათავდა ერთი ხანა, იწყება მეორე. საბჭოთა გაჭირვება ესლა არავისათვის წარმოადგენს საიდუმლოებას, მეგობრთა მთლიანი ფორტიც კავშირდება, რომ ამ გაჭირვებამ თან გადაიტანოს მისი წარმომშობნი.

ს ა ბ უ ლ თ ა საქართველო.

«ჩვენი ადმინისტრაციული სამართველო აპარატი დაავადებულია ბიუროკრატიული სენით. ის ამასთან ერთად გაცილებით იმაზე უფრო დიდია, ვიდრე საქმე ითხოვს. ამის გამო ის ძვირიც არის» (კომ. 15 ს.).

ქვეშარტიად! ყოველი შინაარსი თავის შესაფერფორმას ითხოვს. ბოლშევიზმი არსებითად სიტლანქე და უხეშაობაა, იძულებითი პრინციპის მალმერთებელი და მისი პრაქტიკული სახეც ბუნებრივად ბიუროკრატიზმში ყალიბდება.

ის (აპარატი) არამც თუ დიდი და ძვირია, სულ ზედმეტი არის ისე, როგორც თვით ბოლშევიზმი.

«მშრომელთა მეოხებით (!)... საქართველო მუშურ-გლეხურ საბჭოთა სახელმწიფოთ გადაიქცა. დაიწყო კულტურულ-ეკონომიური აღმშენებლობის სწრაფი ზრდა. აღდგენილ იქნა ომისაგან განადგურებული სახალხო მეურნეობა...» (კომ. ივივე ნომერი).
კაცს რომ შუბლის ძარღვი გაუწყდება, შემდეგ

მისგან გასაკვირი არა არს რა. აბა როგორ დასწერს, ან იტყვის დღეს შუბლიანი კაცი, რომ საქართველო «მშრომელთა მასების მეოხებით» შეიქმნა საბჭოების ქვეყანა, ან და როგორ ვაბედავს იმის მტკიცებას, რომ იქ კულტურა და ეკონომიკა აყვავდა, სადაც ხალხს შიმშილისაგან სული ხდება, სადაც გლეხს და მუშას შიშველი სხეული ვერ დაუფარავს, სადაც ადამიანის პიროვნება, მისი სიცოცხლე ჩირათაც არა ღირს, მაგრამ ნუ გვავიწყდება, როდესაც აზროვნების და სინდისის ნორმებზე ვლაპარაკობთ, თუ ვისთანა ვვაქვს საქმე. ბოლშევიზმი დღეს ხომ სინონიმი ყოველივე უარყოფითის, ის ხომ ანომალიათა ანომალია და ბუნებრივით, რაც იქედან წარმოდინდება, ასეთივეა.

«საბჭოთა კავშირის სიძლიერე და მისი სამშვიდობო პოლიტიკა... უდიდეს ფაქტორებს წარმოადგენენ იმპერიალისტების სამარა გვეგების ჩაფუშვის საქმეში» (კომ. 26 სექ. 28 წ.).

კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირ. საბჭოთა კავშირის სიძლიერე ვის უთქვამს, მისი «სიძლიერე» კურამ ნა სმეხ—რომ იტყვიან—სწორედ ისეთია. საბჭოთა კავშირი ძლიერია მხოლოდ პატარა საქართველოსთან. ცოტა მოზრდილი ქვეყნის მას ცხვირის და ცემინებისაც კი ეწინია. ავიღოთ თუნდაც რუმინია,—რა სამარცხვინო საქმე დამართა მან საბჭოთა კავშირს.

«გამოჩინებული თემალმასკომის (ქუთაისი. მახრა) თავმჯდომარე მელიქ დოლოძემ სოფლის ასისტავს დათიკო ზაქარეიშვილს დაუწყო უწმაწური სიტყვებით ლაძლევა-გინება და ათჯერ ლაწათიანად გადააწნა ზურგზე მათრახი... მივარდა სამოცი წლის მოზრე გლეხს—ლეკა ლორიას, ერთი ორი მასაც გადაუჭირა მათრახი. დაფრთხალი მოზრე გაიქცა. თავმჯდომარე დაედევნა მამას, დაიჭირა, რამდენჯერმე კიდევ შეათამაშა მის ზურგზე მათრახი, მაგარი პალური უთავაზა და გვერდზე გადაისროლა» (კომ. 7 ოქ. 28 წ.).

კომუნისტი მოგვითხრობს, თუ როგორ შეურაცხყო ფიზიკური შესებით ხელისუფლების პატარა ავენტმა სოფლის მუშა-გლეხები, და ისეთი კილოთი, თითქოს ასეთი მოვლენა მეტად იშვიათი რამ იყოს საბჭოების «სამოთხეში». ის, რასაკვირველია, არაა ამბობს და იტყვის იმის შესახებ, რომ ყოველდღიურათ მასიურათ ეწამებიან და ლევენ სულს ჩეკის სარდაფებში თუ შორეულ ცივ ქვეყნების ტუნდრებში ქართველი მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილები.

«კომუნისტურმა პარტიებმა უნდა განაგრძონ ბრძოლა ეკრეთოლდებულ «მემარცხენე» ელემენტებთან, მაგრამ ამჟამათ განსაკუთრებული ძლიერი იერიშები უნდა მიიტანონ «სტაბილიზაციურ» განწყობილებებზე, იმ აშკარა კომპრომისტულ ელემენტებზე, რომლებიც ვერ ხედავენ ახალ სტადიას რევოლიუციის განვითარებაში» (კომ. 13 ოქტ. 28 წ.).

კომუნისტური პარტიის შინაური კრიზისის სისტემატიური თანდათანობით ვითარდება. პირველი როლი ტროცკიმ გაითამაშა. ის დამარცხებულ იქნა,

თუმცა მის მიერ გამოწვეული კრიზისი ჯერ კიდევ არ მოუხლეძია პარტიას. ტროცკის დამარცხებაში დიდი სამსახური გაუწიეს სტალინის ზინოვიევი-კამენევი. ტროცკის მოცილების შემდეგ ეს უკანასკნელი ამოძრავდენ, მაგრამ ისინიც აღვივო იქნენ სტალინის დაუნდობელი ხელით პოლიტიკური სცენიდან.

სტალინის მარჯვენა ხელი ყველა ამ ოპერაციებში რიკოვი იყო. დღეს მათ შორისაც გაირბინა სავმა კატამ. ალბათ რიკოვიც მალე გაიგზავნება მონასტერში და ამგვარათ ოქტომბრის გმირები მოკლეს რარეოლოგიკია. დღეს ერთმანეთს კლავენ. დღეს სტალინია გამარჯვებული, ხვალ ვინ ვის წააქცევს, ვინ იცის, ერთი კი ცხადია,—ვინც მახვილი აიღო ხალხის წინააღმდეგ, ის მახვილითვე წაწყდება.

«სოციალისტურ მშენებლობის ესლანდელ საფესურზე ხდება კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, რაც განსაკუთრებით მკაფიოთ მყდვენება სოფლათ. კლასობრივ ბრძოლის ამ გამწვავებამ თავისი გამოხატულება კპოვა ეკრძოთ იმ სერიოზულ იერიშში, რომელიც მიიტანეს კულაკურმა ელემენტებმა პროლეტარულ სახელმწიფოს სამეურნეო გვეგაზე პურის დამზადების შარშანდელ კამპანიის დროს» (კომ. 20 ოქტ. 28 წ.).

ვინც ბოლშევიკების ენას იცნობს, მისთვის გასაგებია—რას ნიშნავს «კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოფლათ», რას ნიშნავს «კულაკების იერიშები» პროლეტარულ ხელისუფლების გვეგების წინააღმდეგ. რაც დროა ვადის, ბოლშევიკური ხელისუფლება უფროა და უფრო აუტანელი ხდება მშრომელი სოფლისათვის, უთვალავი გადასახადები, დაუსრულებელი რეკვიზიციები გლეხების ნაშრომ-ნაოფლარის და სხვა ასეთი მუშახალხის გამტყავებელი ზომები, რასაკვირველია, ამხედრებს უკანასკნელს მმართველთა წინააღმდეგ, იბადება, ბუნებრივით, «კონტრ-რევოლიუცია», რომელიც ერთ დროს საბოლოო გამოსავალს კპოებს.

«მიმდინარე წლის ივლისში 26 კომუნართა სახელობის რაიკომის მიერ ტრესტ «საპონხეთში» აღმოჩენილ იქნა ზოგიერთ პარტყევრების მხრივ დაუშვებელი მოქმედებანი. დამნაშავენი აღმოჩნდენ: მურადოვი, პოპოვი, იატშიციკინი და სხვები, რომლებიც ტრესტში მუშაობდენ სპასუხისმგებლო თანამდებობებზე და თავიანთ თანამდებობრივ მდგომარეობას იყენებდენ მუშა ქალეხზე ძალდატანების, ლოთობის და გახრწნილებისათვის» (კომ. 17 ოქტ. 28 წ.).

კომუნისტთა პარტიაში ისე დიდია გახრწნილება, რომ თვით «კომუნისტსაც» კი არ ძალუძს მას ხელი დაფაროს. ჩვენ არა ერთხელ აღვინიშნავს, რომ კომუნისტური პარტია ნაძირალეებისაგან შესდგება, რომ მათ დრომუჰმის და ქეიფობის მეტი არა აინტერესებთ რა. ამ სენით არიან შეპყრობილი როგორც პატარა, ისე დიდი კომუნისტები. დღეს დაფარული არავისთვის არაა, თუ რა საშინელ გახრწნილების მოარევი კურავენ «ცნობილი» ქართველი კომუნისტები. მაგრამ ვინ გაბედავს დიდების მხილებას?... პატარების გახრწნილებაზე სწერენ, ვითომდა კომუნის-



ტის «ფაქიზი სინდისი» აღმოფხვრებულა, რომ ამით დაფარონ დიდების ბოროტება.

მაგრამ ამათ, დღეს ქვებიჯი ღალატებენ ბოლშევიკების განხრწილებათ და ვაი მას, ვისაც ბედის უკუღმართობამ ბოლშევიკობა არგუნა!

«ახალი საოჯახო კანონები ზოგიერთმა კომუნისტებმა უკულმა გაიგეს. «როცა გინდა დაქორწინდები, როცა გინდა გაეყრები», ამბობს ბევრი კომუნისტი. ასეთმა გაგებამ მრავალი ამხანაგი გარყვნილებამდე მიიყვანა. იმის მაგივრათ, რომ ქალი თანასწორ უფლებიან ადამიანათ ჩათვალოს, ზოგიერთები ჩი-

სადრანკეთის ქართველთა საზოგადოების გრძობისათვის.

დევებრის 16-თვის მოწვეულია საფრანგეთის ქართველთა საზოგადოების (კოლონიის) კრება. ამ მოვლენას უნდა შევხვდეთ მეტის ყურადღებით და ინტერესით, ვიდრე საერთოდ ემჩნევა ჩვენს ემიგრაციას. «საზოგადოების» წინაშე გადაშლილია ფართო სამოქმედო სარბიელი, დიდი მოვალეობა აწევს მას და ძიძვეა მის ზელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. ქართველ კაცს, განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, ძალზე ეთვისება პოლიტიკობა. პოლიტიკით გატაცება—ამ შემთხვევაში ემიგრაცია ხომ მეტისმეტად მგრძობიარეა. ჩვენ არ შევეხებით დღეს აქ ამ ჩვენს საყოველთაო თვისებას, არ გვინდა მისი გარჩევა—არც თუ დაწუნება, არც თუ დადასტურება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ გადაჭრით, რომ პოლიტიკა, პოლიტიკური მუშაობა მეტწილად გარიყულია და სუსტი, თუ მას არ ამაგრებს კულტურული, ფართო საზოგადოებრივი საქმიანობა. ის პოლიტიკა ყოველთვის უფრო შორსმჭვრეტელი, მტკიცე და ნაყოფიერი, რომელიც ემყარება მეტს კულტურულ შეგნებას და სიმწიფეს.

აი ამ ძირითად და, ფიქრობთ, სრულიად უდავო შემეცნების გათვალისწინებით უნდა შევაფასოთ საფრანგეთის ქართველთა ორგანიზაციის დანიშნულება. უცხოეთში მყოფი ქართველობა განმსჭვალულია ანტიბოლშევიკურის მისწრაფებით, უცხოელ მოძალადეთა შეურთიგებელ სიძულვილით და მტკიცე სურვილით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგენილ იქნეს. ყველა მუშაობს ამ მიზნის განსახორციელებლად თავის პარტიულ რწმენის და თვალსაზრისის მიხედვით. ხოლო «საზოგადოებაში» ქართველები უნდა მოდიოდნენ არა იმისთვის, რომ ერთმანეთს დაუპირდაპირონ თავისი პარტიული განსხვავებანი, არამედ იმისთვის, რომ ერთად შეკქმან უცხოეთში ქართველობისათვის მშობლიური კულტურულ-საზოგადოებრივი კერა, რომელმაც ოდნავად მაინც უნდა შეავსოს სამშობლოს მოშორების ნაკლი, და რომელიც განსაკუთრებით ესაჭიროება ქართველ მოზარდ თავობას.

წლებით გარდმოხვეწილის ცხოვრება, უშუალო განუტყველობა მშობელი ქვეყნის სახეობისა, ყოფნა სამშობლოს სულიერი ატმოსფერის გარეგან, უსმენელობა ქართული სიტყვის, სიმღერის, მუსიკის, უხილველობა მოძმეების, მუდამ უცხოთა შორის ტრია-

რათ არ აგდებენ მას, ფიზიკურ და მორალურ შეურაცყოფას აყენებენ, ამცირებენ თავის ცოლებს, ზოგი ვაქაცობათ სთვლის რამდენიმე ქალთან ერთდროულათ ცხოვრებას და სხვ.» (კომ. 9 ოქტ. 28 წ.).

აი ცოცხალი მაგალითი იმ რეგრესიულ შედეგებისა, რომელსაც ბოლშევიკების «საქმიანობა» იძლევა. ოჯახი ერის ბურჯია, შეარყიეთ და გარყვინით ოჯახი, შეირყევა ერის საფუძველები და ბოლშევიკები სწორეთ ამ საფუძველებზე სცემენ ერს. ნუთუ კიდევ არის დღეს ისეთი გულუბრყვილო ბოლშევიკი, რომელსაც კიდევ სწამს ბოლშევიზმის განმათავისუფლებელი მისია?!

ნაზი.

ლი, საზრდობა უცხო მწერლობით, პრესით, საზოგადოებრივობით მხოლოდ—ყველაფერი ეს ნელნელა აშრობს ეროვნულ გრძობას და ჩვენ ვმორბებით საქართველოს არა მარტო ფიზიკურად, არამედ—რაც უფრო მწარეა და საშიშელი—იდუბურად და მორალურადაც. მოწიფულებს, ხნიერებს, რომელთაც დიდხანს უცხოვრიათ სამშობლოში, იქიდან ჩამოტანილი მშობლიური კულტურა და მშობლიური განცდები ბევრ წელს ეყოფა, მაგრამ რა უნდა ჰქმნას ახალგაზღვრებამ, ბავშვებმა, რომლებიც აქ უცხოეთში იზრდებიან, რომელთაც ესლა ესხნებათ გონებრივი თვალი, და თვეები და წლები ისე გადის, რომ ერთ ქართულ წიგნსაც ვერ წაიკითხავენ, ერთხელაც არ მოუხდებთ ქართველთა წრეში ყოფნა, რომელთაც შორეული წარმოდგენაც არა აქვთ არც საქართველოს ბუნების, არც მისი ისტორიის, არც მისი მწერლობის?!

ჩაუუკვირდეთ კარგად აწინდელს ვითარებას და მაშინ ცხოვლად შევიგნებთ ყველანი «საფრანგეთის ქართველთა საზოგადოების» მაღალს და მეტად მნიშვნელოვან მოწოდებას: დაუყონებლივ, ყველამ ძმურად, მთელის ჩვენის ენერგიით უნდა მოვიკიდოთ ხელი ქართულ კულტურული კერის შექმნას—უნდა მოვაწყოთ ქართველთა მუდმივი შესაკრებელი, ქართული ბიბლიოთეკა, ქართული სკოლა, ქართული ლექციები, წარმოდგენები. რომ ამით შევიმსუბუქოთ სამშობლოს გარეთ ყოფნის შედეგები. დავგვიანება შეუძლებელია. ძალები გვეყვანან, მივმართოთ ყველას! იქნება მოქმედება—იქნება საღსარიც!

არრას მოგახსენებთ იმის შესახებ, რომ გასაკეთებელია სხვა საქმეც: ჩვენი ემიგრაცია საქმათ მრავალრიცხოვანია, ცხრა მეათედი სხვადასხვა სამუშაოზეა და მით ირჩენს თავს, არის გაჭირვება, უმუშევრობა, მოუწყობლობა. «საზოგადოება» უნდა ეხმარებოდეს თავის წევრებს სამუშაოს მოპოვებაში, დროებითი ხელის გამართვით. შესაძლებელია კოოპერატივის მოწყობა, საურთიერთო დახმავების კაისის და სხ.

ერთის სიტყვით გასაკეთებელი ძლიერ ბევრია. კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობით ქართველები ყველა სხვა ერის ემიგრანტებზე ჩამორჩენილები ვართ აქამდის. ახლა მაინც შეგუდგეთ ამის გამოწვრებას...

ბ. ცირცხალავა.

რას ხევთენ ბოლშევიკებზე.

კომუნისტები წამდაუწუმ გაიძახიან, ბურჟუაზიული სახელმწიფოები ომს გვიმზადებენ და ჩვენზე თავდასხმას აპირებენ. საკმარისია, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაახველოს, ან ორი საგარეო მინისტრი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს სამკურნალო წყლებზე, რომ ბოლშევიკების გაზეთებმა უზარმაზარი წერილი დასტამბონ, რომ აპა შეთქმულობას აწყობენ ჩვენს წინააღმდეგ.

საფრანგეთის სოც. გაზეთი «პოპულერი» აღნიშნავს ამ გარემოებას და ამბობს, რომ ბოლშევიკებს საფრთხე სრულებით არ მოელოთ ამ მხრიდან. მაგრამ გაზეთის ფიქროთ, საფრთხე ომისა არსებობს თვით რუსეთში, უკრაინაში:

«ჩაუვკვირდეთ გულგრილად მდგომარეობას. რუსეთის სოფლებში დიდი უკმაყოფილებაა. მთავრობასა და გლეხებს შორის სრული გათიშვაა. რაც უფრო გაძლიერდება სანოვაციის კრიზისი, მით უფრო საბჭოები იძულებულნი გახდებიან გააძლიერონ ძალმომრეობა გლეხების წინააღმდეგ, რომელთა ხელშია ხორბალი, ჯერ ამბობენა არსად მომხდარა, ხოლო სიმწვევე დიდია. გახშირდა მთავრობის მოხელეების მოკვლა სოფლად. ცეცხლს უკიდებენ ადგილობრივ საბჭოების თავმჯდომარეების, კომისრების ბინებს, კოლხონებს და სოფლებს. და როცა «წითელი მამალი» გაინავარდებს რუსის სოფლებში, ეს ნიშანია უკაცრიების და არეულობათა მოახლოების.

მდგომარეობა განსაკუთრებით კრიტიკულია უკრაინაში. ეს ხორბლეულობის კუთხე დღეს სიმშვილს განიცდის. წარუხტოვლი გამწარება გამოიწვია იმ ძალადობამ, რომლის საშუალებით იანვრიდან დაწყებული ექვსი თვის განმავლობაში მთავრობა ართმევდა გლეხებს პურს. ახლა დამშუულ ხალხს მთავრობა ვერაფრით ეხმარება და ამან სიმწარის ფილა მთლად აავსო.

უკრაინაში მოსალოდნელია აჯანყება და სისხლიანი რეპრესიები. ნაციონალური მოძრაობა ბოლო დროს ძლიერ გაფართოვდა, თვით უკრაინელი კომუნისტებიც კი სეპარატისტებენ, ამიტომ შესაძლებელია არეულობამ ეროვნულ-სეპარატისტული ხასიათი მიიღოს».

გაზეთი ფიქრობს, რომ ამ მოვლენას უყურადღებოდ არ დასტავებს პოლონეთი და თავის საზღვრების უზრუნველსაყოფად ჯარებს თავს მოუყრის, რასაც შეიძლება გართულება მოყვეს.

როგორ შეხვდებიან ბოლშევიკები ყველაფერს ამას? «ნუ ვიჭონიებთ ილუზიებს მათი მოქმედების შესახებ. მათი დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ ომს შეხვდებიან, როგორც ხსნას, როგორც გამოსავალს ახლანდელ გაჭირვებიდან. კომუნისტურ ინტერნაციონალის უკანასკნელი კონგრესის დადგენილების შემდეგ ამის თაობაზე არავითარი ეჭვი არ უნდა გვექონდეს...»

ომი და ძალმომრეობა—აი ერთად ერთი გზა პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად, აცხა-

დებს სხენებული კონგრესი. იგი ჰგმობს მშვიდობიანს და პარლამენტარულ მეთოდებს. ურჩევს ყველას სამოქალაქო ომის გაჩაღებას, დაუნდობლობას, მტრების ამოკლევას, საშინელს ტერორს.

«ნუთუ ასეთი განცხადებების შემდეგ—სწერს გაზ. «ეკო დე პარი»: არა გვაქვს უფლება დოვგალევესკი, კნაზი, კრესტინსკი და ძმანი მათნი, სიტყვის უთქმელად მივებრძანოთ მათი კომუნისტური სამშობლოს საზღვარზე?»

კომუნისტების თვალმაქცობა და სიყალბე განთქმულია. მოსკოვის ფულით გამძლარი უცხოელი კომუნისტები არ ჩამორჩებიან თავის პატრონებს. გერმანიის მთავრობამ, რომლის თავმჯდომარე სოციალისტი მიუღერია, დაძველებული კრესისერის ნაცვლად ახლის აშენება გადასწყვიტა. ამ გარემოებამ თვით გერმანიის სოციალისტებშიც დიდი ოპოზიცია გამოიწვია. გერმანელმა კომუნისტებმა, კრემლის კარნახით, ისარგებლეს ეს ამბავი და ერთი აურზაური ასტენეს, პლებისციტიც კი მოითხოვეს: სოციალისტები ომს აშზადებენ და უნდა შევაჩეროთ!

ჩვენი მეგობარი კამილ პიუსმანსი, ბელგიელი სოციალისტი, აღნიშნავს კომუნისტების მორიგ ფარისევლობას და ასეთი ცნობები მოყავს: «თუ შევადარებთ გერმანიის და რუსეთის ფლოტებს, დავინახავთ, რომ რუსეთის ფლოტი გაცილებით ძლიერია. გერმანიის ფლოტშია 6 გემი ხაზისა, 6 კრესისერი და 24 ნალმოსანი, რუსეთისაში კი, 4 გემი ხაზისა, 9 კრესისერი, 47 ნალმოსანი და 20 წყალქვეშა».

სხვის თვალში ბეწვის დანახვა და შენსაში დვირეს არ დანახვა სწორედ ესაა. მაგრამ განა ბოლშევიკებისთვის სიმართლე არსებობს? ისინი ხომ სხვების განიარაღებას მოითხოვენ და ამავე დროს ყველაზე მეტად თვითონ იარაღდებიან...

პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის წლის თავი.

ამ წლის 11 ნოემბერს პოლონეთის ერმა გადაიხადა ერთი უმშვენიერესი და უდიდესი თავისი დღესასწაული, დამოუკიდებლობისათვის წლის თავი. ეს დღესასწაული გაგრძელდა სამი დღე, რომლის აპოთეოზი იყო უკანასკნელი 11 ნოემბერი.

დღესასწაული თავისი გრანდიოზობით შეუდარებელი იყო. სამი დღის განმავლობაში და განსაკუთრებით 11 ნოემბერს მთელი ერი ფეხზე იდგა. მორწმუნენი ეკლესიებში მიეშურებოდნენ სალოცავათ, «ურწმუნონი» კი ქუჩებში შეხვდნენ სამშობლოს განთავისუფლებისათვის წლის თავს და მისდამი უზომო სიყვარულს საქვეყნოთ აცხადებდნენ. პოლონეთის ერის პატრიოტიზმი, სამშობლოს უაღრესი სიყვარული გუშინდელი მოვლენა როდია, არ არის შედგვი მხოლოდ 1918 წლის 11 ნოემბრის... და თუ 123 წლის განმავლობაში პოლონეთის სამათ დაყოფილ ტერიტორიაზე ბატონობდა სამი უხეში და ტლანქი ძალა, ეს იყო ისტორიული უკუღმართობა, რაც უპირველეს ყოვლისა თვით პოლონეთის ერს

საკმაოთ ესმოდა და რომლის წინააღმდეგ 123 წლის განმავლობაში გააფრებოთ და თავგამოდებით იბრძოდა. ამ ბრძოლაში ის არ იხვედა არავითარი საშუალების წინაშე, ოღონდ სამშობლოს განთავისუფლების საქმისთვის სასარგებლო კი ყოფილიყო. მართალია ჩვენ იმ დროს არ არსებობდა. მაგრამ ხვრეტა, წამება, ციხე, ციმბირი, ემიგრაცია—პოლონეთის საუკეთესო შვილთ არ ამორებით. აურაცხელი მსხვერპლი შეიწირა იმ შავ-ბნელ ხანაში...

და ისე, როგორც მოსკოვის უხვშ აქტს საქართველოზე—მთელი კულტურული კაცობრიობა სასტიკი პროტესტით შეხვდა. ისე, როგორც დღეს. მთელი კულტურული კაცობრიობის თანამგრძობა, სიმპატია და სიყვარული წამებულ ქართველ ერს დამოუკიდებლობის და თავისუფლებისათვის ბრძოლაში სიმხნევეს უნერგავს,—ამნაირათვე მიეგება თავის დროს კულტურული კაცობრიობა პოლონეთის განსაცდელს და იგივე თანაგრძობა სიმხნევეს და ენერგიას მატებდა პოლონეთის ერს განმათავისუფლებელ ბრძოლაში. სრულებით ბუნებრივი მოვლენა იყო გრანდიოზული სახე მისცემოდა დამოუკიდებლობის დღესასწაულს. 11 ნოემბერს პოლონეთის დედა ქალაქ ვარშავას პროვინციიდან ესტუმრა სხვა და სხვა კულტურულ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციების 60, 000 წარმომადგენელი, ამას დაურთეთ დედა-ქალაქის ამოძრავება და თქვენს წინ გადაიშლება უზარმაზარი სურათი. დილის 10 სათიდან დაიწყო აღლუმი. აღლუმი მიიღო პოლონეთის ეროვნულმა გმირმა მარშალმა პილსუდსკიმ. სამი დღის განმავლობაში მთელი ქალაქი გაჩირადნებული იყო. აუარებელ მისაღებათა შორის ქართველ კალენის გამგეობამაც სათანადო მისაღებით მიმართა პრეზიდენტს და მარშალ პილსუდსკის.

ეს რამდენიმე სტრიქონი მხოლოდ მკრთალი ასახვაა ამ დღესასწაულის...

ვუსურვოთ ბედნიერ პოლონეთის ერს, რომ მისი ისტორიული მისია,—დასავლეთ ევროპის კულტურის აღმოსავლეთში გადანერგვა—გამარჯვებით დაგვირგვინდეს.

კასაბეგო.

ახმედ ცალიკატი.

ამ რამდენიმე ხნის წინ, ვარშავაში, ქლექიანთა სამკურნალოში, სიცოცხლეს გამოესალმა ერთი ხაუკეთესო კავკასიელ მოღვაწეთაგანი, ახმედ ცალიკატი. ქართველი საზოგადოება კარგათ უნდა იცნობდეს კავკასიის ღრმა პატრიოტს და საქართველოს ერთგულ მეგობარს. ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს საფუძვლიანი განათლების და ნიჭიერი კალმის პატრონი ახმედი თვალსაჩინო როლს თამაშობდა ძველი იმპერიის დემოკრატიულ, განსაკუთრებით რუსეთის მუსულმანთა მოძრაობაში, 1917 წ. რევოლიუციის პირველ თვეებში ის არჩეულ იქნა სრულიად რუსეთის მაკმდიანთა ყრილობის თავჯდომარეთ. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დაუბრუნდა თავის კუ-

თხეს, ჩრდილო კავკასიას, ებრძოდა. როგორც დენიკინს: ისე ბოლშევიკებს, კავკასიის სალხის თავისუფლების დროში. 1919 წლიდან ახმედი საქართველოში შეიხიხნა, აქ თანამშრომლობდა ჩვენს გაზეთებში, თვით სცემდა საპროპაგანდო «თავისუფალ მთიელს» რუსულ ენაზე და ინაწილებდა ქართველი ერის ჭირსა და ლხინსა. 1921 წლის თებერვალში ახმედი აქტიურ მონაწილეობას იღებს თბილისის დაცვაში და შემდეგ ქართველ მოღვაწეებთან ერთად სტოვეებს საქარველოს. ემიგრაციის ბედი განსაკუთრებით მწარე იყო მისთვის. ყოველივე მატერიალურ საშუალებას მოკლებული, ჯერ შაქრის ავთომყოფობით და მერე ქლექით დასწეულებული ახმედი არ ზოგავდა თავის ძალღონეს საერთო საქმისთვის. აქაც მან სხვა და სხვა დროს დასტამბა მრავალა წერილი ჩრდილო კავკასიაში, გამოუშვა რომანი ჩრდილო კავკასიის დამოუკიდებლობის ეპოქიდან. მიუხედავად მძიმე სწეულებისა და უმწვეო მდგომარეობისა მის ბუნებას არ ეკარებოდა აზრი მტროს წინაშე კედის მოხრის. ის დაიღუპა მარტო, უცხო ქვეყნის საავთმყოფოში და მისი ერთად ერთი ჩივილი იყო ბედის საყვედური, რომ გონებრივი და წნეობრივი ძალით აღსავსეს, შედარებით ახალგაზრდას (45 წ.) აღეკვეთა შეძლება თავის საქმეს, თვის საყვარელ კავკასიას ემსახუროს...

მეკობაძი.

აჭაბაშვი.

ბათუმიდან გვატყობინებენ (ოქტომბერში): მუსულმან ქართველების გადასახლება ისევ გრძელდება, ზოგან მთელი ოჯახები გადასახლეს. დიდი სიმშლიობა და გაჭირვებაა. ბათომში შავი პურიც აღარ იშოვება და ფუთი სიმინდის ფასი 18 მანეთამდე ავიდა. რუსის ფული ძლიერ დაეცა და 30 მანეთი ერთს გირვანქა სტერლინგს უდრის. კოლპერატელებს არა მოეპოვებათ რა, მაგრამ რაც აქვთ, იმის მყიდველიც არავინაა უფულობისა გამო.

შემოქმედებები.

საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო პოლიტ. გადასახლებულთათვის:

პრაგაიდან. ოც-ოცი ჩენ. კრონა: გრ. აილო, ა. ემუხვარი, ემ. ოლმათიძე, ვ. ინჟიკირელი და მ. უბირი; ათ-ათი ჩენ. კრონა: ფილ. ლორია, დ. დლობერიძე და დ. ჩხეიძე; ე. ულენტი 15 კრონა.

სულ 145 ჩენ. კრონა.

რაფ. ინგილოსაგან 25 იტალ. ლირა.

ქ-ნ ა. დ-ნ 100 ფრ. ფრანკი.

Rédaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.